




საქართველოს
საზოგადოებრივი



1890

ს ა რ ჩ მ ვ ი

ქუინალ «ჯეჯილი»-სა:

გვერ.

I.	* * ლექსი სილავანისა	3
II.	ბებერი კატა, ჰატანს მოთხრობა. ქართული-ქალისა.	5
III.	დავითის გამარჯვება, ლექსი მღვიმელისა.	9
IV.	ობოლი, მოთხრობა ი. ნეკლავიშვილისა.	13
V.	ალადინი, ფრანგულიდგან, ვ. ბანოვისა	19
VI.	მზის ქალი, ზღაპარი.	23
VII.	იობის ლექსი, კახეთში გავრცელები.	33
VIII.	პატარ-პატარა სამეცნიერო წერილები, ილი- კოსი	35
IX.	გალილეი	39
X.	ოლოლი, შ. უმიკაშვილისა.	52
XI.	ოქროს-მატყლოვანი ვერძი და იაზონი, აფ. ჭიჭინაძისა.	60
XII.	პატარა მკალავი ანტონა.	64
XIII.	უსამართლოთ მისამართი.	68
XIV.	ორი მოხსუბარი, ამბავი, ან-მანისა.	70
XV.	მოსწრებული სიტყვა.	71
XVI.	ანდაზები, გამოცანები, არითმეტიკული გამოცანა. კპიტუზისა. ანაგრაფა, შაირები, შარადა. რებუსი.	72



ჰეჰილი

საყმაწვილო სურათებიანი

ქუჩნალი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო!
ი. დ.

№ IV.

წელიწადი პირველი



ტფილისი

სტამბა ივ. ა. მარტიროსიანცისა, ორბ. ქუჩა, სახლი № 1—2.

1890.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 4-го Іюня 1890 года.



Типографія И. Мартиросіанца, Орб. ул., д. № 1—2.



*
* *



რი წლისა კუკური,
ზაწია, ზაწაწკინტელა...
დარბის ოთახში, ესოში,
პერანგსამარა, ტიტველა.

—
დარბის და დასტის კიჟინით,
ხან სკამს, ხან სუფრას წააქცევს;
ვერ მოერევა წელიან თუნკს—
ხელს კრავს, დაამხობს, დააქცევს.

—
მისი წებალობით ოჯახში
ყოველთვის არეულია;
მოაწუბობ ოთახს თუ აზრს,
ხედავ, რომ ანგრეულია.

—
დედას თუმც უვებარს უსომოდ,
ხანდისხან მაინც უწერებ...
მაგრამ მას ბავში ორიგებს:
ტიკტიკით გულში უძვრებ.



მისი ტიკტიკი, ჰარტვალი
 ატებობს დიდებს და ჰატარებს,
 მას შეტრფის ძიული ოჯახნი,
 მასთან დღეს ტებილად ატარებს.

«ბუთი მოძევი, ბუთიო!»—
 ციურ სძით დაიტიტინებს,
 მდღლა შეგდებს ჰაწა ბურთს,
 კავრავს და კაიკიუინებს.

სან დაეცემა უეცრად,
 იტირებს, ცრემლებს გადმოღვრის,
 მაგრამ იმ წამსვე მშვიდდება,
 კვლავ ცელქობს... წიგნებს გადმოყრის...

დარბის და დანტის კუკური,
 ატებობს, აცოცხლებს ეველასა...
 დედა შეეურებს დიდილით,
 დმერთს სთხოვს მის გაზდას, შეეღასა.

სილოვან

ბ ე ბ ე რ ი კ ა ტ ა



I

რთ ზამთრის დილას სა-
 ქათმიდგან თეთრი ქათამი
 გამოვიდა და დაუწყო ნა-
 გავს ქექა.

სომ კარგად იცო, ჩემო
 მკითხველო, რომ ქათმებს
 ეს საქმე ძალიან უყვართ.
 რაც უნდა გამძღარი იყოს
 ქათამი, მანც ნაგავს მია-
 თვალთვლებს და დაიწყოებს
 კენკას.

მაშ ნუ გავიკვირდებათ,
 რომ დილა ადრინა, უსმო გულსედ ჩვენი ქათამი ასე ტკბი-
 ლად შექცევა.

ძალღმა ეევა დაიწყო, კატამ კნავილი, თითქოს დას-
 ცინოდნენ თეთრს დედალს: რა მსუნავი რამ არის ეს საწ-
 ვალი!

— აბა ერთი მითხარი, სად არის სამართალი!.. იმხდა
 ბურა: მე მთელი ღამე არ მძინებია, სახლს ვუარაულობდი,



რომ ძილი არ დაჭყუთსობოდან ჩემს ზატრონს და არა დაჭყუთსობოდან
 რა; ამ ღამეს ეუფით ებები მომეღალა და მადლობის ძაკიერ
 ძე ესლავ მავრა დამაბძენ ჯაჭვით და აი ქათმებს კი,—
 ეტეობა იმიტომ, რომ ტკბილად ეძინათ მთელი ღამე,—
 სპეკეს დაუფრინან! თეთრმა ქათამძაც სომ ეს კარგად იცის,
 მავრამ, სისხამ დილაზედ მინც ნაკავს ქექავს,—ღიან, მეტ
 ლუკმას არეინ გადავადებსო.

—არა, ეკ კიდევ არაფერი,—დაუძატა კატამ,—ძე ჩე
 ძი ზატრონი, სომ იცი, თავგებისათვის მინახავს, და,—რა
 დაგიძალო,—მართლაც ძალიან მიეჯარს თავგების წრეწუნი.
 მინამ ხსალგასდა ვიყავი, ჩემი კნუტების მსემა, ისე ეძინო-
 დათ ჩემი, და ზატრონიც ისე მაქებდა სოლმე ეველასთან,
 რომ ჩემ კნუტებს მეორე დღესვე მტაცებდენ იმის ნაცნო-
 ბები.—და ხსლავ კი, როდესაც დავბერდი, ზატრონი ავი
 თვალით მიუურებს!..

ახლავ იმ თავგების თავგასულობაცა ჰნახო! წინად, ჩემი
 ხმა რომ გაეკონათ, ცხრა სორომი მიიძალებოდნენ და ეს-
 ლავ კი,—კინდ დაიჯერე, კინდ არა,—ზედ თავზედ მხსტე-
 ბიან! მოდი და მოითმინე!..

ეჰ, რა ვუყოთ? მინც ეს კიდევ ისე არ მეწუინებოდა,—
 ისინი საძაკიეროს მიხდიან და ღირსიცა ვარ,—ძე ჩემი
 ზატრონისავანა მწეინს:—იმის ძაკიერად, რომ თავგები
 მოემორებინა, ამ სიბერის ღროს არ დავეჩავგვრინე მათთვის,
 იმან აძილო, ჩემო ბატონო, წუსეღის, ზარკუჭანამი ჩამლო,
 მოაკრა ზარკს ზირი და ერთ სეჰმი გადაძიძახა.

არ მახსოვს, რამდენმა ხანმა გაიარა, რაც ასე კვლავ
 სეჰმი, და ავერ მომესმა კი ორი ბიჭის ხმა:



—ბიჭო, მოდი ამოვიღოთ, ამ ხევი რაღაცა ვინა ვინა
ნება წინეთია!

—როგორ არა,—ღასცინა მეორემ:—შენთვის დაუმსა-
დებიათ!

—არ ვიცი, რომელი ჩამოვიდა ხევი და გახსნა ზარ-
კუჭანა. მე, რასაკვირველია, თავი მოვიძკვდარუნე.

—ბიჭო! რბილი რაღაცა არის! ხომ არ ჩამოძევე და
მაშ ნახე, თუ წილი დაგიღო.

ამ სიტყვების თქმასე, მე ზარკუჭანა გახსნილი დაუინა-
ხე და გამოვარდი კნავილით, ბიჭებს შვეშინდათ და ქვები
ღამიძინეს. მაგრამ, როგორც მხედავ, ცოცხალი გადავრჩი
და შინაც მოვედი. რა მექნა, მაშ სად წავსულიყავი?!

II

—ჯუ-ჯუ-ჯუ!—მოისმა ესოდნა ზატარა ძაროს ხმა, რომ
ძელიც ქათმებს საკენკს უფრიდა და თან თვალებს იფშენებდა.


—მაძი, ეს წვეული კატა კიდევ მოსულა! ავი მოვკალიო?

—არა უძავს რა, შვილო, ძაღვ ისევ მხეს დაუუბნე-
ლებ, შენ ფიქრი ნუ გაქვს!

კატა გავარდა გარედ და ძაღვსაც დაუძახა:—ძინამ და-
გაბძენ, შენს თავს უშველე, თორემ ახალი ზატრონი არც
შენ შეგინახავს!

—რაო, ახალი ზატრონიო? რას ამბობ, გამოჩენიერე-
ბულიო? სიბერისაგან თვალები ხომ არ აბზინა?

—არა, შენ სიემაწვილით თუ დაერუებულხარ?—უნახუნა
კატამ, —არ გესმის, რას ამბობენ: თუ მე მხის დაბნელებას



მიწიერებენ, შენ კი, გკონია, კეთილს დაგაყრიან თუ? არა, არა, მე ვარ დღეს უნატრონოდ, შენც ჩემსავით ძალე დაწივიდი...

ძალე დააფიქრა ამ სიტყვებმა, და დააწივა გაქცევა, მაგრამ ამ დროს ერთი ლუკმა ჰური გადუკდეს, ძალე მოტუევიდა, აღარ წავიდა, — და მაგრამ ჯახვეთ კი მიანეს ბომსედ.

კატუნიაც აქ დაწია, არ უნდოდა მეგობრის თავის დაწივება, თან ესეც იფიქრა: მოდი მეც ღონეს მოვიგროვებ და ისევე თავგების დაწერას. მივეობ სელსაო.

ამ დროს გამძღარი თეთრი დედალი სედ თავსედ გადასტა, — ჩვენს კატუნის თავი ეკონა და მისწვდა კლანჭში.

ქათამმა ფთხრიალი დაწყო, მაგრამ კატა არ უძუებდა, ძალიან უევირდა ქათმის სორცი, თანაც გულში ფიქრობდა: არა, მე, სულელი, ან აქამდინაც თავგების რას დადევდი? ესენი უფრო ახლო არ ივენენ!


— ეივლიყო! — დაივირა მამალმა და გამოესწრაღა თეთრს დედალს, რომლის ბურტყელები ძალეა ჰვარში ადიოდა.

კატუნის შეეშინდა და ბომსე ავარდა. გამოვიდა ზატრონი და გაბურტყელი ქათამი რომ დაინახა, მისდებ და კეტით კინაღამ სული გააყრევინა სწეველს მურას, რომელიც სრულებით ბრალი არ იყო ამ საქმეში.

III

დადაძდა. ძალე აუშვეს და კატუნისმაც იკადრა ბომიღვან ჩამოსვლა.

— როგორა ხარ, ძმობილო, რადა ჰკოჭლობ! — და ეკითხა შურას.



—ჩემი თავ-გარდასახვალი რომ გიამბო, შეგებრალა, მხოლოდ ბილა:—წუნანდელს დაღლილს, მე დილით ტკბილად შეძინა. უცბად ძამაღმა დაივევირა და მე, რასაკვირველია, წამოვსტი. ვნახოთ, თავში დამიშინეს:—ერთი თუ ორი, ერთი თუ ორი! ნეტა ახლო ჰყოფილიყავი, რომ დაგეთვალა.—მე გავცეხული შევცქეროდი და არ მესმოდა, რისთვის მცემდა ზატრონი. თურმე ის მსუნავი თეთრი ქათამი ისე გამაძლარა, რომ სული ვეღარ მოეზრუნებია და სიმწარისაკან სულ ბუძბულები უწიწკნია. ძამაღიც წასულა ზატრონთან და მე დავუბანდებოვარ. აბა ეხლა შენ გამასამართლე:—ქათამს რომ მსუნავობაში თავი უსივდებოდეს და სული ვეღარ მოეზრუნოს, ჩემი რა ვადასახვადია?

—სულ იმ ძამლის ბრალი ყოფილა, —დაუძტა კატამ, —დამაცადოს, თუ მე იმას ოინი არ ვუყო.

ამ დროს გამოვიდა ზატრონი და კატუნის სტაცა სელი. ვაი შენს დედას, რომ ჩემ სავუარელ მურას ფესი მომატეხინე, წეღან რომ დამენახე ე მაგ კბილებ სულ თითო თითოდ დაკაძრობდი!

—რა! მაშ კატუნის ბრალი იყო, ჩემი ფესის მოტეხა? —წამოიძახა გამწარებულმა მურამ და მივარდა კატას საკებნად.

შეძინებული კატა ზატრონს გაუსწლტა სელიდამ და გაიქცა, მურამ ვერა გაიგო რა ბნელაში და ზატრონი დაგლიჯა.

მეორე დღეს მურას იბდენი სცემეს, რომ მეორე ფესიც მოსტედა, და კატუნია კი დღესაც ფეს-ძარბალი დადის.

მოდო და შენ განინჯე ეს საქმე, ჩემო კეთილო მკითხველო:—სად არის სამართალი?

დ ა კ ი თ ი ს გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ა



რა ესმის რა მოსისხლე
გოლიათს ცოდო-ბრალისა,
ომში გულადად გამოდის,
იმედიცა აქვს ხმალისა...

წინ გადაუდგა ამაყად
იგი ებრაელთ ჯარებსა,
ფალავანს ითხოვეს საბრძოლად
და აბრიალებს თვალებსა.
იძახის: „ჩემთან გამომსვლელს
თუ თავი მოსძულებია,
სჯობს, თვით დაიცეს მახვილი,
მინამ არ მომკარებია.“
ვერავენ ბედავს გამოსვლას
ებრაელთ ფალავანებში...

* * *

უცბად გამოხტა ვილაცა,
ცეცხლი ანთო თვალებში.
ნეტა ვინ არის ეს ქორთა,
ჯერ პირ-რძე შეუშრობელი?
რატომ არავინ აფრთხილებს?
ან თუ არა ჰყავს მშობელი?
მაგას ვინ მისცა ის ძალა,
რომ გამოსულა ველადა
და იწვევს შურდულ-ქვა-ჯოხით
გოლიათს საბრძოლველად?
ყურს არვის უგდებს დავითი,

გაკაჟებულა გულითა,
ამაყად ამბობს, აღესილი
ღეთის რწმენა-სიყვარულითა:

* * *

„თუ მწყემსს შემეძლო მხეცთა ქლეტა
და მოგერება ლომისა,
„თუ კი არ მერიდებოდა
მათთან ბრძოლის და ომისა,
„თუ კი ვერ მძლევდა მარტოკას
მე მრისხანება მათიო, —
„ნუ თუ მტერს შევეუშინდები,
ან დამძლევს გოლიათიო?!
„გავალ, პირ-და-პირ შევებმი,
მეც ერთი, იგიც ერთიო,
„თუ ნადირთ გადამარჩინა,
აქაც მიშველის ღმერთიო.“

გავიდა დავით თამამად
ბრძოლის ველს აზავებული;
ხელში უჭირავს შურდული,
სიპი-ქვით გამზადებული...


* * *

მთა-გორს მიუგავს გოლიათს
ახოვანება დიადი,
მრისხანედ გაიბღვირება,
ვით ბნელის ღამის წყვდიადი.
არაფრად აგდებს დავითსა,
ამბობს: „გავგლეჯავ შუაზე,
არ მივაკარებ ქორფის სისხლს
ჩემს ხმალს პირსა და ყუაზე“....
მაგრამ გამოტყვრა შურდული,
მოხვდა ქვა შუბლში ზრიალით, —



მიწას გავრთხო გოლიათ
 და წასკდა სისხლი თქრიალით.
 მივარდა დავით მამაცად,
 აღელვებულის ძალითა,
 დაჰკრა და მოავდებინა
 თავი მისივე ხმალითა.

მღვიმელი



(გუქღვნი ნ. ათ. შარაშიძისას)

I



ანერის სუსხი-დგას. თოვს. ხანდახან ზენა დაუბერავს და ცელქად შეათამაშებს ფიფქ თოვლს. ხან სვეტ-სვეტად და-აყენებს და შეატრიალ-შემოატრიალებს ჰაერში, ხან ერთი-მეორეში აურ-დაურევეს და ხან იქით მირეკავს, ხან აქეთ,— აცელქებს, ათამაშებს, ატრიალებს, თითქო გიჟური ფერხული გაუ-ბამსო.

სამო სანახავია ბუნების ასეთი სურათი, როცა თბილ ოთახში ზიხარ და სარკმელიდგან უყურებ სეირს, მაგრამ ვინც გარეთ არის ამ დროს?—მწარე ცრემლებს აყლაპინებს ბევრს ასეთი გიჟ-მაჟი ტაროსი.

აგერ, დაგლეჯილ-დაფლეთილ ახალუხში გახვეული, ასე ხუთი-ექვსის წლის ბიჭი, ზინზილით მირბის თოვლ-ჰყავში. ქარი თავისუფ-ლად უქრის კისერში და უბეებში, ბაირაღსავით აფრიალებს მის და-ფლეთილ ბაშლულის ცალყურს, ჰკბენს ცხვირსა და ლოყებზე, მაგ-რამ პატარა ზურგსაც არ უბრუნებს, მირბის, და უკან მისდევს ძუნ-ძუნით მისი განუშორებელი მეგობარი, მურია.

მირბის საბრალო „მწვანე-ყვავილასკენ“. ასე ერთი კვირა იქ-ნება, რაც იქაურ სასაფლაოზედ გაასვენეს საბრალო დედა მისი. მი-



დის დედის სანახავად. უნდა შესჩივლოს, რა ქირის დღე მისი ჩაეჭვოს მას შემდეგ, რაც დედამ იგი დასტოვა.

ნახავს კი დედას? პაწია სრულიად დარწმუნებულია, რომ ნახავს. საბრალომ ის კი არ იცის, რომ დედა მისს სამი ალაბი მიწა აყრია გულზე და წამოდგომა არ შეუძლიან!..

აი შეუდგა „მწვანე-ყვავილას“ ქედსაც. ცოტა შესდგა და ბაშლულის ყურით თვალეზე ცრემლი მოიწმინდა. მურიაც უკანა ფეხებზე დასუტქდა და სიბრალოვით თვალეში მიაშტერდა თავის პატარა მეგობარს. ცოტა ორივემ შეისვენეს და ისევ აღმართს შეუდგნენ.

აი სასაფლაოს გალავანსაც მიადგნენ. შევიდა პატარა საყდრის გალავანში და დაიწყო ტირილით დედის ძებნა და ძახილი: „დედა, დედა!“ მაგრამ ამაოდ,—დედის ტკბილის ხმის ნაცვლად მოესმა სასაფლაოს დარაჯის ხრინწიანი ხმა: „აქედგან დაიკარგეთ, რას დაეთრევით ამ სასაფლაოზე“!..

უკანასკნელი იმედიც გადაუწყდა. ეს ბოროტი კაცი დედის ნახვასაც უშლიდა!.. ველარ ნახა დედა, და თვალე დასიებული, შეშინებული და სიცივისაგან აკანკალებული უკანვე გამობრუნდა.

ვის მიჰმართოს? საით წავიდეს? ნუ თუ ისევ ძველს ბინაზე?!... არა, ობოლს აღარა აქვს ახლა თავშესაფარი! მოაგონდა საწყალს: დედა რომ კვდებოდა, ერთს ქვრივ მეზობელ დედაკაცს შეეხვეწა, ობლისათვის ეპატრონებია, და ისიც შეჰპირდა: ისე მოვუვლი, რომ უდედობას არ შევამჩნეინებო.

პირველ ორ-სამ დღეს მართლაც იცოდებდა, კარგად ეპყრობოდა, მაგრამ მერე თან-და-თან გული აიყარა ობოლზე, და რაც მეტი ხანი მიდიოდა, ბებერი უფრო ცუდად ექცეოდა საწყალს. ბოლოს მჭადის ნატეხსაც კი ამადლიდა.

—რა მრჯიდა, რომ სხვისი ნაბიჯვარი ავიკიდე ზურგზე სარჩენად, ჩემი თავი რომ ვერ დამირჩენიაო!—გაიძახოდა ბებერი.

რა რჯიდა!—რასაკვირველია არაფერი. მომკვდავს რომ ჰპირდებოდა, ისე მოვუვლი, რომ უდედობას არ შევამჩნეინებო, განა იმი-



ტომ ამბობდა, რომ საწყალი ობოლ-უპატრონო ბავშვისათვის გული შესტკიოდა?—არა, სულ სხვა მიზეზით აიკიდა ეს შეტი ბავშვი ზურგზე. ბებერი ფიქრობდა, მოსამსახურედ გამომადგებო და, ცოტა რომ წამოიზრდება, დამარჩენს კიდევცაო.

ეს მართლაც ასე იქნებოდა, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ გულ-ქვა ბებერი პაწაწკინტელა ბიჭს ისეთ სამსახურს ავალებდა, რის ატანას ამაზედ ბევრად მოზრდილი ძლიერს შესძლებდა, და, რასაკვირველია, ეს პაწია რიგიანად ვერ ემსახურებოდა.

ბებერი უწყრებოდა, ლანძლავდა და წამ-და-უწუმ ბუწუწუებით ათრევდა. ასე შავ ღღეში ჩავარდნილს ყმაწვილს ერთად-ერთი მანუგეშებელი ჰყავდა. ეს იყო ამის ერთგული მურია.

თვალ-ცრემლიანი მოსძებნიდა მურიას და იმას შესჩივლებდა ბებრის უსამართლობას. ისიც სიყვარულით ხელების ლოკვას დაუწყებდა და მოჰყვებოდა წკმუტუნს. დიახ, მურია-ლა იყო იმისი ერთად-ერთი ნუგეში, და ამ ნუგეშსაც აცლიდნენ ხელიდგან.

II

იმ უკუღმართ ღღეს, რა ღლის ამბავსაც მე გიამბობთ, ბებერმა უბძანა ობოლს, მურია მოეშორებია.

—ძაღლისთვის კი არა, შენთვის მიჭირს მჰადიო,—ასე უთხრა.

საწყალი რამდენს ეხვეწა, რამდენს ემუდარა, რომ მურია არ მოეშორებინათ მისთვის, მაგრამ ბებერი გაკვრბადა, გაქვავდა.

—სანამ ძაღლს არ მომაცილებ, ჩემს თვალებს არ დაენახოვო,—ასე გადასჰრა ბებერმა.

რა ექმნა საწყალს ბავშვს?—წამოიყვანა თან მურია და წამოვიდა ღელასთან საჩივლელოდ, მაგრამ ღელა ვეღარ ნახა და აი ეხლა მიდის საითკენღაც, საით კი, თითონაც არ იცის. მიდის და ქარი ცხვირ-პირში აყრის თოვლს.



რა ქნას, საით წავიდეს? მურიას ის ვერ მოიცილებს, და ისევე
 კი ბებერთან ვერ დაბრუნდება...

დაღამდა. თოვა შესწყდა. ცა მოიწმინდა და ვარსკვლავებით
 მოიქცა. ცის კიდურიდამ თავი ამოყო შეიდი ღლის მთვარემ და
 შეტურდა თვალგაღუწვდენელ ცის სივრცეში.

მოაწიეს ქალაქს ჩვენმა მგზავრებმაც და დაიწყეს ქუჩა-ქუჩა
 უგზო-უკვლოდ ხეტიალი. დუქნებიც დაკეტეს. სიმშოლისა და და-
 ქანცულობის გამო, საწყალს მუხლები მოეცეცა და ერთ დუქნის
 კარებთან მოიკუნჭა, მურიაც გვერდში ამოუწვა. პაწაწამ ხელები
 ძაღლს ყელზე მოხვია, მაგრა ჩაეხუტა და ჩაეძინა.

სრული სიჩუმე ჩამოვარდა. მარტო რიონის ბუტბუტი მოისმო-
 და. ქუჩაში ყინვის მეფე გამობძანდა და ყოვლის მხრით დაუბერა
 თავის შემზარავი სუსხი. ხის ტოტებზე და სახლების სახურავებზე
 ბროლის ჩურჩხელებსავით ჩამოეკიდა ყინულები. ბამბასავით, რბილი
 თოვლი ქვასავით გამაგრდა, და თხრილებში ჩამდგარ წყალს სქელი
 მინის სარქველი დაეხურა თავს.

სძინავს ჩვენს პაწიას და საამურ სიზმარს ხედავს ძილში: თავი
 დედის კალთაში უძევს და უამბობს, რაც უხამი და ნაღველი მო-
 გროვილა მის პაწაწა გულში. ისიც უამბო, ყარაულმა რომ გა-
 მოაგდო სასაფლაოდგან.

ვინ იცის, კიდევ რას არ მოუყვას! ბერი ეტიტინა. დედასთან
 ლაპარაკით რომ გაძლა, მხოლოდ მაშინ შენიშნა, რომ დედას ერთი
 ვილაც მშვენიერი ფრთებიანი ყმაწვილი ახლდა, და ჰკითხა დედას,
 ეგ ვინ არისო.

—ეს, შეილო, შენი მთარველი ანგელოზია! შენ წასაყვანად
 წამოვიდა ჩემთან! აქედგან უნდა წავიყვანო, შეილო!...

—აბა, რაღას უტლით? წამიყვანეთ ბარემ, მე აქ მეტი მოცდა
 აღარ შემიძლია. მაგრამ იცი, დედა, რას გეტყვი, იმ ბოროტ ყა-
 რაულთან კი ნუ წავალთ, იმისი ძალიან მეშინიან, სხვაგან სადმე
 წავიდეთ...

მართლაც ანგელოზი მოუახლოვდა, თავისი ჰაერსავით მსუბუქი



ხელით პატარას შეეხო და, თითქო მანქანებით, სული უცებ სხეთოს
 მოაშორა.


—ვიშ, რა კარგი ყოფილა! ნეტავი აღრევე წაგეყვანეთ,—ეხლა
 აღარც სიცივესა ვგრძნობ და აღარც სიმშინლს...


ანგლოზმა და დედამ ხელი-ხელს ჩაავლეს და მალლა აიტა-
 ცეს. მიდიან სულ მალლა და მალლა. ქუთაისი ქედის ოდენა-ლა
 ჩანს. რამდენიც მალლა აიწიეს, უფრო დაპატარავდა და ბოლოს
 თვალთავან სრულიად დაიკარგა. ასცილდენ კავკასიონის ქედსაც,
 ძლიერ მალლა, ისე მალლა ავიდნენ, რომ ჩვენი ქვეყანა პატარა ვარ-
 სკელავივით-ლა მოჩანდა...



III

ამ ქირის დღესავით გრძელ ღამესაც მოელო ბოლო. ყარაუ-
 ლებმა ქუჩის დასათვალთვალად ჩამოიარეს. ერთმა თვალი მოჰკრა





დუქნის წინ მწოლარე ყმაწვილსა და ძაღლს და გასაღებიძეობად
 ბავშს ფეხი წამოჰკრა. მურიას გამოელეიძა, თავი წამოყო და, უც-
 ხო კაცს რომ შეხედა, გულმოსულმა დაუღრინა და აღმასივით ბას-
 რი კბილები დაუკრიჭა. ყარაულმა ჯოჯი მოუქნია და ზურგში სთუთ-
 ქა. სიმწარისაგან ძაღლმა ხმა ველარ ამოიღო და კუთხეში მიიკრუნწ-
 ხა. ყარაულმა ბევრი არწია ბავშვი, მაგრამ ვერას გზით ვერ გამოა-
 ლეიძა. ეტყობოდა, საუკუნო ძილით დაეძინა.

გათენდა. ქუჩებში ჩვეულებრივი დღიური ხმაურობა ასტყდა. შე-
 მოესია ხალხი პატარა გაყინულ გემს და დაიწყეს მისი ვინაობის
 გამოკითხვა, მაგრამ ვერა შეიტყეს რა. მურია იქვე იყო და შო-
 რი-ახლოდგან უდარაჯებდა თავის მეგობარს. ბოლოს ცხედარი მსხვილ
 ტილოში შეახვიეს და „მწვანე-ყვავილზე“ წაიღეს. მურიაც კოჭლო-
 ბით უკან დაედევნა. გაუთხარეს იქ პატარა საფლავი და ჩამარხეს.

არავის არ დაუტორია საწყალი პატარა ობოლი; არავისი ცრემ-
 ლი არ დასცემია მას გულზე! მისი დამტირებელი იყო მხოლოდ მუ-
 რია. მურია არ შორდებოდა მის საფლავს. ღამ-ღამით, როცა ყარა-
 ული დაიძინებდა, დაიწყებდა თათებით საფლავის თხრას, და მოისმო-
 და მისი შესაზარი ღმუილი.

რამდენისამე დღის შემდეგ, პატარა, ნახევრად ამოთხრილ სა-
 მარეზე სასაფლაოს ყარაულმა იპოვა მკვდარი ძაღლი. ეს იყო მუ-
 რია... ყარაულმა წყვეა-კრულივით გადაათრია სასაფლაოდგან ძაღლი
 და ხრამში გადუძახა.

იასონ ნიკოლაიშვილი

ს ლ ა დ ი ნ ი

(ფრანგულიაჲ)



ლადინი ღარბი მენახირის-შვილი იყო. მოჯანბგირედ იღვა ერთს მდიდარ კაცთან, რომელიც მალიან ცუდად ეწერობოდა ალადინს.

ერთსელ ბატონმა გააღახვინა ალადინი; ორმოცდაათი მათრახი დაჭკრეს იმის ბრძანებით. იმ ღამეს საბრალოდ ღმერთს შესტირბ თავის ღარდი და მერმე დაიძინა, მაგრამ ტკივილმა ისეუკ მალე გამოადგვიძა. დაწყო ფიქრი თავის უბედურ ეოფა-ცხოვრებასე. მოაგონდა, რომ ერთსელ იმის ძაძის ოჯახი შეძლებული იყო, რადგანაც ჭქონდათ ნატურის თვალი, რომელიც ვეუღა სურვილის უსრულებდათ.

— ოჸ! — იფიქრა ალადინმა, — მე რომ იმ ნატურის თვალს ვიძოვიდე, მაშინ გადგუსდიდი სამაგიეროს ჩემ უდიერს ბატონს!

მეორე დღეს ალადინმა ცხენები წახსნა წყალის დასალევიანებლად. დაღონებული დაჭკურებდა წყალს და უეცრად დაინახა, რომ წყალში რაღაც ბჭეურიალებს. იმავე წამს დასწვდა და აძოიღო. დასე ბედს: — აკი ნატურის თვალი არ აძოიღო!

— ეხლა კი მეც ვიგებე ვეუღა სიკეთეს, რაც ბედ-



ნიერებას: მოაქვსო, — სთქვა თავისთვის განარბებულს და
დინმა და თან ჩაფიქრდა, რა ვინატროვო.

— მსურს, სტამბოლის სულთანი შევიქმნა! — დაიძახა
აღადინმა და შეისროლა ჭაერში ნატურის თვალი.

იმ წამსვე გაჩნდნენ იქ სტამბოლიდან მოსული ელჩე-
ბი, დაემხვნენ იმის წინ და მოახსენეს: ოსმალეთი მოწიწე-
ბით თავს იხრის თავის სულთანის წინაშეო.

ახალი სულთანი აღადინი დიდის ამბით შებრძნდა
სტამბოლში. ტანტყედ აწვლის შეძღვე, ვეელაზე უზირველეც
იძსედი იხრუნა, რომ ღირსეულად დაესჯა თავისი წინან-
დელი ბატონი.

სულთანმა აღადინმა ძალე მოაძულა ხალხს თავი, რად-
გან თავსედად და ბოროტად იქცეოდა. ხალხში უკაყოფი-
ლებს ჩამოვარდა. უკაყოფილებას მოჭყვა შეთქმულობა. აღად-
ინი საშინლად შეაწუნეს ოსმალებმა. მოჭბესრდა ასეთი
ყოფა აღადინს და სთქვა:

— არა, ოსმალეთის დიდი მბრძანებელი კი ვარ, მაგ-
რამ ბედნიერად კი ვერ ჩავთვლი ჩემს თავს! — სთქვა, გაიქცა
სასახლიდან და სულთნობას თავი დანება.

რამდენსამე ხანს ასე უსაქმოდ იყო. მოეწეინა ცუდად
ყოფნა და ხელახლად მოინდომა მეფობა.

— მსურს, ახლა სწარსეთის შაჰი შევიქმნა! — ინატრა
აღადინმა.

მაშინვე გამოცხადდნენ იმის წინ სწარსეთის ელჩნი.

— დიდებულო სელმწიფე! — მოახსენეს ელჩებმა: — ჩვე-
ნი მეფე გარდაიცვალა და განსელოთ, მიგიწვიოთ იმის მო-
ადგილედ; წამობრძანდით და კაცებადნიერეთ.



აღადინი გაემართა თეირანს, სწარსეთის სატახტო ქალაქში. ხალხი დიდის სინარულით მიეკება აღადინს.

ასალი შაჰი ჯერ დიდს სინარულში იყო, რომ ასეთს დიდებს და აუარებელს სიმდიდრეს ეღიროს, მაგრამ ისევ ძალე მოიწეინა: კარდაცვალებულის შაჰის ძმა სცდილობდა მოეკვლევინებინა აღადინი და თითონ დაეჭირა სამეფო ტახტი. კარდა ამისა, ოსმალებმა ძლიერ იწეინეს აღადინის გაქცევა და სწარსეთში გაბეფება და ომი გამოუცხადეს. თითონ სწარსელებიც აქმლნენ; აჯანყებამ თითქმის სასას-ლეძის მიადწია.

— ოჰ, ჩემო ნატურის თვალო, — სთქვა შეწუხებულმა შაჰმა: — დიდებს და სიმდიდრეს კი მძლევე, და ნეტავი არ შეკიდლიან, ბედნიერც გამხადო?

ნატურის თვალმა ზასუსი არ მისცა.

მაშინ აღადინმა კიდევ შეათამაშა ჰაერში და ინატრა:

— მსურს, ინდოეთის დედოფალი შევიერთო ცოლადაო!

მაშინვე აუსრულდა ნატურა, მაგრამ დედოფალი ისეთი შავი ზანგი რამ გამოდგა, რომ იმის შესედვასეღ აღადინს კინადამ გული შეუწუხდა და გადაიქცა. კიდევ კარგი, რომ მის შავ დიდებულებას, ინდოეთის დედოფალს, ეგონა, ვითომ აღადინს სინარულით შეუდონდა გულიო, თორემ ცუდად იყო იმისი საქმე. მეორე დღეს აღადინმა ინატრა, დედოფალი თავის ქვეყანაშივე დაბრუნებულიყო, და ეს სურვილიც მაშინვე აუსრულდა.

მსოფლოდ ესლა მოაგონდა აღადინს თავისი მოსუცი ძამა.

— რად დავანებე თავი მამა-ჩემს, — ნანობდა აღადინი: — ხომ უფრო ბედნიერი ვიქნებოდი, რომ ესლა იმასთან ვეყოფილიყავი?!



ინატრს თუ არა ეს, იმ წამსვე იძისი მამა მანკანდას
 —ოჰ, მამა ჩემო, დიდად დანაშაული ვარ შენთან; განა
 კიდევ შეძინდობ?

მავას თავი დაუანებოთ, შვილო, და ეს მითხარ:

—სომ ეველაფერი სთხოვე ნატურის თვალს და მავა-
 ნაც ეველაფერი ავისრულა, — ახლა, ბედნიერი ხარ?

—ეჰ, მამა ჩემო, ნატურის თვალმა ეველაფერი მომცა,
 ბედნიერების გარდა!

—ეგ იმიტომ, შვილო, რომ არც შენ გითხოვნიან და
 ვერც შეუძლიან მოქცეს ნატურის თვალმა ის ერთად ერთი
 რამ, რაც ბედნიერად ქსდის ადამიანს.

—ნეტავ, ისეთი რა არის?

—სიბრძნე, შვილო!

ამ სიტყვასვე აღადინი დალონდა და თავი ჩაჭკიდა.


—მართალს ამბობ, მამი: — ამას იქით ისევე მოსუენე-
 ბით ერთად ვიცხოვროთ და ვიმყოფინოთ ის, რასაც ჩვე-
 ნის გარჯით და ჯაფით ვიძოვით. ამაში ეოფილბ ბედნიე-
 რება, რომელსაც ძე ამდენს ხანს ვეძებდი და ვერ ვიპოვე.

—არა, ბჭვერიალა ქვაკ, შენ არ შეგძლეობია ადამიანის
 გაბედნიერება, — სთქვა აღადინმა და ისევე წყალში გადისრო-
 ლბ ნატურის თვლი.

მ ზ ი ს ქ ა ლ ი

ზღაპარი

(თ. რაზიკაშვილის გაგონილი კახეთში).



ყო და არა იყო-რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო სამი ძმა. მოხნეს სამი ღლის მიწა და დათესეს. ერთმა იქით, ერთმა აქეთ და ერთმაც შუაზედ. მოვიდა ისეთი ჯეჯილი, რომ უკეთესი არ იქნებოდა. აღელდა ყანა ზღვასაებრ. აღელდა პატრონის გულიც სიხარულით, იმ ყანის მნახველი. მაგრამ აკი ეწვი-ათ უბედურება!

ერთს ღღეს მოიქურუშა ცამ პირი, დაუშვა სეტყვა და შუალა ყანა სულ გაანადგურა. ის ორი ნაპირისა კი გადარჩა.

მოვიდა პატრონი, დაჰხედა ყანას და ჩაჰყცდა გული; მაინც არაფერი სთქვა, აიღო ნამგალი, გადიღო მხარზედ და გაუდგა გზას—ბედის საქებნელად.

იარა, იარა და ერთს მდიდარ კაცთან მივიდა; ასი ღლის ყანა ედგა იმ მდიდარ კაცს. მივიდა და უთხრა:

—რას მომცემ, რომ ეგ ასი ღლის ყანა ერთს ღღეს მოგიმკოვო?

—შუაზე გაგიყოფო,—უპასუხა მდიდარმა კაცმა.

წავიდა ჩვენი ნაცნობი კაცი და დაუწყო ულოს გრეხა. შუა-ღღემდის ულო გრიხა, მერე მოუღო ნამგალი და გაუსო. ის იყო ერთი ძნა-ლა ჰქონდა შესაგროვი, რომ ჩავიდა მზე. მოუხნადა კაცმა ქული მზეს, შეევეღრა:

—ნუ ჩახვალ ჯერ, ცოტა მოიცადეო!

მაგრამ მზემ აღარ მოიცადა. შაკრა ის ძნაც, და მოვიდა ყანის პატრონიც. ძალიან გაუკვირდა, ყანა რომ მომკილი დაინახა, და უთხრა:

—გავიყოთ ეხლა შუაზედ, როგორც პირობა გვაქვსო.

მომკალმა არ უსმინა, გადუგღო ნამგალი და უთხრა:



— მაინც ბედი არ მაძლევს და არ მაძლევს. პირობა ვერც შევძლებ
სრულე დროზედ, შენ შენთვის და მე ჩემთვისო. ნიპლირთა

წავიდა, ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მივიდა ერთს ხელმწიფესთან და დაუდგა მეცხვარედ ოთხის წლის ვადით. პირობა დაუდო, რომ არც მგელს რამე შეეჭამა იმ ოთხს წელში, არც კირს მოეკლა, ერთის სიტყვით ბეწვი არ უნდა დაჰკლებიყო. ბოლოს შუაზედ გაიყოფდნენ, ნახევარს ერთი წასახავდა, ნახევარს მეორე. თუ დააკლდებოდა რამე, მეცხვარე ცარიელი უნდა წასულიყო.

დადგა კაცი მეცხვარედ. გავიდა ოთხი წელი, ერთი თიკნის ყური არ დაჰკლებია. ისე ააშენა ცხვარი, რომ მიწას უმძიმდებოდა. ის იყო ბაკში ერეკებოდა მეცხვარე ცხვარს გასაყოფად, რომ უცებ ერთი მგელი გამოვარდა, ეცა ერთს ცხვარს, მოიტაცა და გააქანა ტყისაკენ. პატრონი მაინც შუაზედ უყუჟდა ცხვარს, მაგრამ მეცხვარემ გადუგდო კავი და წავიდა თავის გზაზედ.


ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მოვიდა ერთს მდინარესთან, დაჯდა და დაისვენა. გაიხედა და დაინახა, რომ სამი მზის ქალი ჩამოსულა და ებანებიან წყალში; ისეთი მშვენიერები არიან, რომ კაცის თვალი იმათზე კარგს ვეღარასა ჰნახავს. ადგება ეს კაცი, მიეპარება ამ ქალებს, მოიპარავს ერთს და გამოიქცევა.

ირბენს ბევრს, ირბენს, გაიყვანს ტყის ერთს ტრიალს მინდორზედ, გაუკეთებს ქოხს და დადგებიან იქ. მაგრამ არაფერი კი არ აბადიათ. ქმარი აღარც სამუშაოდ წავიდა: სადაც ვიყავი, რასაც ხელი მოეკიდე, ბედი არა მქონდაო და ეხლა სადღა უნდა წავიდეო.

ქალს ერთი ნატურის ბეჭელი ჰქონდა. მისცა ის ბეჭელი ქმარს და უთხრა:

— ჩემი ქრთაში და მზითევი ეს არის, ამის მეტი არც მე მახადია არაფერი და არც შენაო. მიწაზედ დაჰდებ, სუფრა გაიშლება, სუფრაზედ დაჰდებ, სასმელ-საჭმელი ჩამორიგდება, ჩამოიტან ქვევით, ჭურჭელი დარიგდება, აიტან და ჩამორიგდებაო.

ღიან გაიხარა ქმარმა და უფრო მეტს განცხრომას და შევებას მიეცა. ხელმწიფის დაპატიჟება ჩაიდო გულში. ცოლმა უშალა, შენ



ქერქში იყავ, მიუწოდებელს ნუ ეწვედებიო. ხელმწიფის სტუმრობად ვილი ნუ გგონიაო. ეგ ერთი ბეჭედი გვგდია და გაგკვირებია; გინდა ეკეც თავი დამ მოიშოროვო.

არ იქნება და არ იქნებაო,—დაინიყა ქმარმა, უნდა დავპატიოთ და ჩვენი გლახური ცხოვრება ვაჩვენოთო. ნახონ, რომ ჩვენც შავგვილიან ხელმწიფეს გავუძასპინძლდეთო.

ადგება მეორე დღეს ეს კაცი და გასწევს ხელმწიფესთან დასაპატიებლად, მიართმევს საჩუქარს და სთხოვს, გაგვებენიერეთ და მობრძანდით ჩვენსა სადილადაო.

ხელმწიფეს გაცინა: შენ რა ხარ, შენი სადილი რა უნდა იყვესო. მაინც უთხრა: მე კი ვერ წამოვალ და ნაზირ-ვეზირის გამოგაყოლებო. ხელმწიფემ დაიბარა ნაზირ-ვეზირი და უბძანა: წადით, ნახეთ, ეს კაცი რომ მეპატიებება, რით მეპატიებება, აქვს რამე, თუ აბუჩად მიგდებსო.

გაუძღვება კაცი და გაჰყვებიან ნაზირ-ვეზირნიც ჯარით. გზაზედ რომ მიდიან, ჯარსაც და ნაზირ-ვეზირსაც პური მოჰშვიდებათ. მოკლეს ერთი ხოხობი, მისცეს ბიჭს და გაგზავნეს შესაწვავად ქოხში.

სწვავს ხოხობს ბიჭი, თვალი მზის ქალზედა აქვს. ისე მოსტაცა გონება ქალმა, რომ სრულებით დაავიწყდა, თუ ხოხობს სწვავდა. ნახევარი ხოხობი სულ ჩაებუკა. მოართვა ნაზირ-ვეზირს დამწვარი ხოხობი. ჰკითხავენ, რად დასწვი ხოხობიო.

ღმერთმან ჰკითხოას! ერთი ქალი იყო ამ კაცის ქოხში, ისე მოსტაცა გონება, რომ ველარაფერი გავიგეო.

ნაზირ-ვეზირებმა დააჩქარეს ჯარი, შესხდნენ და გასწიეს იმ ქოხისკენ, ქალის ნახვა მოუნდათ. მივიდნენ შორი-ახლოს და ჩამოხტნენ.

ჩამოუყრიდა მზის სიძემ ბეჭედი ცხენებს და სათითაოდ თივა და ქერიანი თოფრები ჩამოუყიდა. აატარა მერე და ცარიელი თოფრები ჩამოჰხსნა. დადვა ბეჭედი და გაეშალა სუფრა ჯარს, მოვიდა და მოვიდა საჭმელი და სასმელი, სულ ახალი და ახალი.

ნაზირ-ვეზირნი გაკვირვებულნი იყვნენ: სახლი კი არსად უდგა, არაფერი უჩანს და ეს რა ამბავიაო. ნახეს ახლა იმის ცოლი და სულ



კკუაზედ შეიშალნენ. გაუქასპინძლდა გულუხვად მზის სიძე და გააკვირვა ნაზირ-ვეზირი.

მოვიდნენ ხელმწიფესთან ნაზირ-ვეზირნი.

—როგორ გაგიმასპინძლდათ ის ჩემი ყმაო,—ჰკითხა ხელმწიფემ.

ნაზირ-ვეზირებმა ძალიან უქეს, სულ უცეცხლო საკმელები გაგვიკეთაო... მაგრამ იმას რომ ცოლი ჰყავს, იმისთანა კი აღარაფერი იქნებაო. ის იმას კი არ უნდა ჰყვანდეს, ხელმწიფეს ეკადრებაო.

—როგორ წაევართვაო?—ჰკითხა ხელმწიფემ:—უმიზეზოდ ცოცხალი არ დამანებებსო.

ნაზირ-ვეზირმა ურჩია:—დაიბარე ის კაცი და შეუკვეთე: მზეს რომ ოქროს ერკემალი ჰყავს, ის მომიყვანო. ის იქ წავა, იქილამ ველარ მოვა და ცოლი შენ დაგრჩებაო.

მაშინვე დაიბარა ხელმწიფემ მზის სიძე და უთხრა:

—უნდა წახვიდე და მზეს რომ ოქროს ერკემალი ჰყავს, ის მომიყვანო.

დაბრუნდა შინ მზის სიძე, შესჩივლა ცოლს: ხელმწიფე მხესთანა მგზავნის, ოქროს ერკემალი უნდა მომიყვანო.

—ეხლა რაღა ეშველებო!—უთხრა ცოლმა,—ეგ წინაღვე უნდა გეფიქრა, ეხლა ჯავრობით ველარაფერს გააწყობ და ისევ ისა სჯობია, ასდგე და შეუდგე გზასაო. მისცა ნიშანი და გაგზავნა.

ბევრი იარა მზის სიძემ, ბევრი ქვეყანა გაიარა, გაათავა სახმელო და სამზეოს მოება. იარა, იარა და მივიდა იქ, სადაც მზე და მთვარე იყვნენ. მზე სამგზავროდ ყოფილიყო, ქვეყნად წასულიყო სანათობლად. მთვარემ ნახა მზის სიძე, იცნო და ძალიან გაუხარდა. დედას ახარა, ჩვენი სიძე მოვიდაო. გამოჰკითხა სიძეს მოსელის მიზეზი. სიძემ უამბო ყველაფერი.

მთვარემ უთხრა:—მზე მოვა, შენ ვერ გაუძლებ იმის ნათელს, დაიწვებიო. აქცია ნემსად და შეარქო ბოძში. სალამოხედ მოვიდა მზეც.

სულიერის სუნი მომდისო, — დაიძახა მზემ: ვინ მოსულა ჩვენ საბანებელშიო.



—რას ამბობო? — გაუჯავრდა მთვარე: — ქვეყანაზე შენ დადიხარ, შენ მოგყვებოდა სულიერის სუნიო... მართლა, შენი სიძე რომ იყვეს აქა, ხომ არ დასწვავო?

—არაო, — უფიცა მზემ, — ოღონდ თვალთ კი მაჩვენეთ, როგორი კაცია ჩემი სიძეო.

აქცია მთვარემ სიძე ისევ კაცად და წამოაყენა მზის წინ.

მზე მივალერსა სიძეს და გამოჰკითხა მისელის მიზეზი.

—ხელმწიფე შენს ქალს მეცილებო, — უთხრა სიძემ: — გაუგონია, მზეს ოქროს ვერძი ჰყავსო, და გამომგზავნა წასაყვანად.

—ფიქრი ნურათფრისა გაქვსო, — გაუმაგრა გული მზემ, — წამოდი, ჩემ ბაღში დაისვენეო.

შევიდა ბაღში სიძე, ნახა, სადაც რამ იყო, ძალიან მოეწონა, მართლაც მშვენიერი სანახავი იყო: ზოგი მწიფე იყო, ზოგი მაშინლა ყვაოდა, ზოგი მაშინ იფოთლებოდა, ზოგს კი ჩამოჰდიოდა...

მზემ უთხრა სიძეს: — აქ, ბაღში, იყავ და სადილს მგელი და ელია მოგართმევენო...

მოჰშივდა მზის სიძეს, დაჯდა და დაუწყო ლოდინი. მოვიდა მგელი და მოუტანა სუფრა, მოვიდა ელია და მოართვა სასმელ-საქმელი.

მზის სიძეს ერთი კომბალა ჰქონდა; გაიკითხა მგელი იქით და უთხრა:

—მე რომ ოთხი წელიწადი ერთი თიკნის ყურიც არ დამკლებია, ისე ვუვლიდი ცხვარსა, და ყავლის გათავების დროს შენ რომ მოხველ და მომტაცე, რადა ჰქენ ეგ საქმეო? წაუღო და წაუღო მგელს, იმდენი სცემა, რამდენიც ინება.

მერე გაიკითხა ელია და იმასაცა ჰკითხა:

—მე რომ სამ მამულში შუა მამული მეჭირა, შენ წამოუშინე სუტყა და სულ მიწაში ჩაატანინე ჩემი ყანა, რადა ჰქენ ისეო. დაუღო და დაუღო იმასაც. ჰკრა კომბალა თვალებში და გამოაჩიჩქნა.

დაჯდა მერე და შეექცა სადილს. მერე ადგა, დაურიგდა მზის



ბაღს, დაამტვრია, დასკრა ხეხილო, გაატიალა და გაავერანა მეგრე დაჯდა, დაისვენა.

წავიდნენ მგელი და ელია მზესთან საჩივლელად. მოვიდა მზე სიძესთან და ნახა: ბაღიც ისე გაუვერანებია, რომ მტერს აეტირება.

—რაღა ჰქენ მაგრეო?—ჰკითხა სიძეს.

—თქვენ რაღად ჰქენით ისე, რომ ერთი საწყალი მამულა მეგლო, წამოუშინა ელიამ სეტყვა, გამოიხრაო; ოთხი წელიწადი ხელმწიფეს ტყუილად ვემსახურე, წილი დამაკარგვინა მგელმაო. ან მე რომ ათასი დღის ყანა ერთ დღეს მოვმკე, შეგკონე, ერთი ძნა-ღამე მქონდა შესაკრავი, გთხოვე, მოიცადე, ნუ ჩახვალო, და შენ რატომ ყურიც არ შეიბღერტეო.

მშემ ველარაფერი უთხრა, მისცა ოქროს ვერძი და გაისტუმრა მშვიდობით.

მოუტანა ოქროს ვერძი ხელმწიფეს. ხელმწიფეს იხედი დაეკარგა ქალის ხელში ჩაგდებისა; ნაზირ-ვეზირს ჰკითხა: რაღა მეშველებაო.

ნაზირ-ვეზირმა ურჩია: საიქიოს გაგზავნე, თქვენმა მშობელმა დედამ რომ ბეჭედი წაიღო, ის მოგიტანოსო.

დაიბარა ხელმწიფემ მზის სიძე და უბრძანა:—საიქიოს წადი, დედაჩემმა საიქიოს ბეჭედი წაიღო და ის მომიტანეო.

მივიდა ცოლთან მზის სიძე და შესჩივლა:—ხელმწიფე ახლა საიქიოს მგზავნის, შენი თავი უნდა წამართვასო.

ცოლმა ერთი ვაშლი მისცა და უთხრა:

—გააგორე ეს ვაშლი და, სადაც ის წავიდეს, გაჰყვე შენც კვალდა-კვალაო.

აიღო ვაშლი მზის სიძემ, გააგორა და მიჰყვა კვალზედ. მიგორავს ვაშლი და აი გამოვა ერთს ტყის მინდორზედ. ერთი ირემი დგა, რქები ცამდისა აქვს აწვდილი.

—გამარჯვება შენიაო!—ეტყვის მზის სიძე ირემს.

—გაგიმარჯოსო!—უპასუხებს ირემი: სად მიჰდისარ, აქ რამ მოგიყვანაო?



—საიქოს მივიღვარ, ხელმწიფის დედას ბექედი უნდა გამოვწვლითო— და მოუტანოვო.

—მეც რამე წამალი მომიტანე, რქებს ვეღარ ვზიდავო, — შეტყვეწა ირემი.

გასცდა ირემს მზის სიძე და მივიდა ერთს კლდესთან. შიგ ერთი ხარი აბია; არც სასმელი წყალი აქვს, არც საჭმელი ბალახი, და ისეთი მსუქანია კი, რომ ხორცი ზედ ასკდება სიმსუქნით. მზის სიძეს ძალიან გაუკვირდა და ხარსა ჰკითხა:

—არაფერს კი არა ჰქამ და რამ გაგასუქა მაგრეო?

—რო ჩამოივლი, მაშინ გეტყვიო, — უპასუხა ხარმა.

გასცდა ამას მზის სიძე და ერთს მშვენიერად მორთულს მინდორზედ გამოვიდა. ნიავის ქროლაზედ ბალახი ზღვასავით ღელავს; წყაროებს ჩუხჩუხი და ლურლური მოაქვს ბალახებს შუა. მინდვრის შუა ერთი ხარი დგას, პირ-აკრულია, ვერცარასა სქამს და ვერცარასა ჰსევამს. ისეთი მქლევა, რომ კაჭკაჭი ვერაფერს გამოორჩება. გაკვირვებული მზის სიძე იმასაცა ჰკითხავს:

—რამ გაგხადა ვგრე, ასეთი სასმელი და საჭმელი წინა გაქცხო.


ხარმა არაფერი უპასუხა: ამელელი ბევრი მინახავ, ჩამომელელი კი აღარც ერთიო.

მზის სიძე გასცდა მქლე ხარს და ერთს მღვდელს შეჰხვდა. ზურგზედ საყდარი ჰკიდია, დადის და სადაც ერთს კაცს ნახავს, დაჰდგამს და ულოცავს. მზის სიძე მღვდელსაც მიესალმა. მღვდელმა მგზავრობის მიზეზი ჰკითხა და მზის სიძემ კიდევ საყდრის ზურგზედ აკიდებისა.

მღვდელმა სთხოვა:—საიქოს რაკი მიხვალ, შამიტყე, რა ეუყო ამ საყდარს, მუდამ ზურგზედ ხომ არ მეკიდება, ამბავი მომიტანეო.

გასცდა იმასაც მზის სიძე და წავიდა. ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მივიდა ერთს ადგილას—ცულის ტარზედ ცოლ-ქმარნი წვანან, და ცულის ტარი იქით და აქეთ კიდევ გადაქარბებულია.

მზის სიძე გაკვირვებული შესცქეროდა ცოლ-ქმარს:—თუ ღმერთი გწამთ, ეგ როგორ არის, რომ ცულის ტარზედ წევხართ ორი სული და იქით და აქეთ კიდევ ადგილი დარჩენილაო!



—ამელელი ბევრი გვინახია და ჩამომეღელი კი აღარავინაო!
 — უპასუხეს ცოლ-ქმარმა: აიარე, ჩამოიარე და მაშინ ყველაფერს
 გიამბობთო.

გასცდა ამათაც გაკვირვებული მზის სიძე და წავიდა. ბევრი
 იარა თუ ცოტა იარა, მივიდა ერთ ცოლ-ქმართან: კამეხის ტყავ-
 ზედ დაწოლილან, ერთი იქით გორავს, მეორე აქეთ და კიდე ერთ-
 მანეთს ჰწინლავენ: იქით მიწექ, მიიწიე, იქით მიწექო!

მზის სიძე მივიდა, სალამი მისცა და ჰკითხა:—ეგ რა უბედუ-
 რებაა თქვენს თავს, რომ კამეხის ტყავზედ წევხართ და კიდე ვიწ-
 როდ გეჩვენებათო.

—ამელელი ბევრი გვინახავს, ჩამომეღელი კი აღარავინაო!—
 უპასუხეს ცოლ-ქმარმა: წადი და თუ ჩამოივლი, მიზებს შეიტყობო.

გასცდა ამათაც მზის სიძე და მიდის. გზაზედ ერთი დედაკაცი
 შეხედება: მოუკროვებია კვერცხები და კოშკს აშენებს. აიყვანს ცო-
 ტად, ააცილებს მიწას, იგრიალეებენ კვერცხები და ჩამოცივიან დაბ-
 ლა. დედაკაცი ხელახლად მოჰყვება და ააშენებს კოშკს.

მივა იმასთან მზის სიძე და გაკვირვებული ჰკითხავს:—რას შერე-
 ბი, კვერცხების კოშკი სხვას ვის აუშენებია, რომ შენ ააშენოვო?!

— ჩამოიარე და მაშინ გეტყვიო,— უპასუხა დედაკაცმა.

გასცდა ამ დედაკაცსაც მზის სიძე და წავიდა თავის გზაზედ.

გზაზედ ერთს თონეს მიადგა. ერთი დედაკაცი დგას და აც-
 ხობს პურსა, ჩააკრავს თეთრს პურს, როგორც ბამბას, და ამოიღებს
 შავს, როგორც ტალახს. მზის სიძე მივა იმასთან და გაკვირვებული
 ჰკითხავს:

— ეგ რისგან არის, რომ თეთრს პურს ჩააკრავ და შავს ამო-
 აკრავო.

— ჩამელელი ბევრი მინახია, ამომეღელი არც ერთიო,— უპა-
 სუხა პურის მცხობელმა დედაკაცმა: ჩაიარე და თუ კიდეც ამოივლი,
 მაშინ გეტყვიო.

გასცდა იმასაც მზის სიძე და მივიდა ხელმწიფის დედასთან.

— შეილმა დაგიბარაო, — უთხრა ხელმწიფის დედას: — მანდატური ბექელი წაიღე, ის გამომიგზავნეო.

მისცა ბექელი მზის სიძეს ხელმწიფის დედამ და უთხრა: — წაიღე, მიეც ჩემს შვილს და უთხარ: — დედამ დაგიბარა: „რადგანაც აქაც არ მაძლევ მოსვენებას და მაშფოთებ, შენამც იქნები წყეულოო, შენი საქმე ისე მოვიდეს, რომ შენმა ვეზირებმა შეგქამონო“.

მზის სიძემ ჰკითხა: — ესე — ესე, გზაზედ ერთი ირემი ვნახე, რქები ცამდისა ჰქონდა აწვდილი, სიარული აღარ შეეძლო, წამალი დამაბარაო, და, თუ შეიძლება, მასწავლეო. ერთი მღვდელი იყო კიდევ, ზურგზედ საყდარი ეკიდა, სადაც ერთს კაცსა ნახავდა, მიიტანდა, დაჰდგამდა და იქ ულოცავდაო. იმასაც დაუბარეთ, რა უყოს იმ საყდარსა.

ხელმწიფის დედამ უთხრა: ირემმა მაისის წყალი დალიოს და გასცივება რქებოო; მღვდელმა კიდე წაიღოს ის საყდარი, დადგას შუა სოფელში, დაჰკიდოს ზარები, ლოცვაზედ რომ დგებოდეს, დარეკოს ზარები, ვისაც ლოცვა უნდა, მივა და ილოცავსო; ვისაც არ უნდა, — არ მოვა — შენი ბრალი არ იქნებაო...

წამოიღო ბექელი და წამოვიდა მზის სიძე. გზაზედ კაც-ხიდას შეხვდა და ჰკითხა მიზეზი ისე ტანჯვისა.

კაც-ხიდამ უთხრა: — მე ხიდი მებარა, ზედ არავის გავატარებდი უფასოდ, საწყალი და გაჭირვებული არ ვიციოდი, ყველას ერთნაირად ვაძრობდი ტყავს და აი ეხლა ხომ ხედავ, როგორა ვარო.

გასცა ამას მზის სიძე და წამოვიდა თავის გზაზედ....

პურის მცხოვრებელმა დედაკაცმა უთხრა: მე იმ ქვეყნად ისეთი წუწუკი ვიყავ, რომ პური რომ ჩამეკრა, და იმ დროს ან მშვიერს მგზავრს გამოეცელო, ან გლახას, თვალებს ჩაეწვევდი თონეში, რომ არ დამენახა ისინი და პურის მიცემა არ მომდომოდა. ეხლა ესე ვარ, — როგორც უნდა თეთრი პური ჩავაკრა, მიწად შექცევისო.

კვერცხების კოშკს რომ აგებდა იქ მოვიდა. დედაკაცმა უთხრა: — მე იმ ქვეყნად კვერცხებს ვიპარავდი და აი ეხლა ესე ვიტანჯებიო. დასტოვა მზის სიძემ კოშკის მგებელი და წავიდა თავის გზაზედ.



ბევრი იარა, თუ ცოტა იარა, მოვიდა კამეჩის ტყავზედ მწოლარს ცოლს
ქმართან.

იმათ უთხრეს:—იმ ქვეყნად ჩვენ ერთმანეთი გვძულდა; ქვეყანა
ჩვენთვის ვიწრო იყო, ვერ ვთავსდებოდით და აი ეხლაც კამეჩის
ტყავზედ ვერ ვეტყვიითო. რამდენიც უნდა გვძულდეს ერთმანეთი, ვე-
ლარ მოვმორდებითო...

მზის სიძე ცულის ტარზე მწოლარე ცოლ-ქმართან მივიდა. იმათ
უთხრეს:—იმ ქვეყნად ერთმანეთი გვიყვარდა და აქაც გვიყვარსო.
მოყვარულს ცოლ-ქმარს ცულის ტარიც არ ეპატარაება საცხოვ-
რებლად, ოღონდ ერთმანეთის თავი ჰყვანდეთ ცოცხალიო.

ბევრი იარა მზის სიძემ, თუ ცოტა იარა, მოვიდა იმ მღვდელ-
თან, ზურგზედ რომ საყდარი ეკიდა, და მოუტანა ამბავი, ხელმწი-
ფის დედის დაბარებული.

გასცდა მღვდელსაც და იმ ხართან მოვიდა, მშვენიერს მღელო-
ზე რომ ება, სასმელი და საქმელი მრავალი ჰქონდა და მქლეე კი იყო.

ხარმა უთხრა:—მე ჩემს პატრონს არაფერში გამოვადგეო, არა-
ფერს ვუკეთებდი და აი ეხლა ესე ვარო.

მქლეე ხარს გასცდა და, კლდეში რომ მსუქანი ხარი ება, იმას-
თან მოვიდა.

მსუქანმა ხარმა უთხრა:—მე ჩემი პატრონისთვის თავდადებული
ვიყავ, ხარს არა ველაატობდი და პატრონიც კარგა მივლიდაო. ეხ-
ლა თუნდა არცარაფერი ვჭამო და ვსევა, მაინც მსუქანი ვიქნები და
მაინცაო.

გასცდა ამასაც მზის სიძე და წამოვიდა ირემთან. მოვიდა, მო-
უტანა ამბავი:—მაისის წყალი დალიე და რქები გაგციევაო.

დალია ირემმა მაისის წყალი და გასციევა რქები.

მოვიდა და მოუტანა მზის სიძემ ხელმწიფეს დედის ბეჭედი და
წყევლაც....

იქცა ხელმწიფე კურდღლად, ნაზირ-ვეზირი მგლებად და მჭე-
მეს. სახელმწიფო და ქონება მზის სიძეს დარჩა.

ი ო ბ ი ს ლ ე ქ ს ი

(თ. შთავრიშვილის გაგონილი კახეთში).



ობ იყო ღეთის ნათლული,
 ცოლი ჰყვანდა მართალ-გზისა,
 შვიდი ვაჟი-შვილი ჰყვანდა,
 სამი ქალი — სახე მზისა;
 ათნივ ერთ დღეს დაეზოცნენ,
 ერთი აღარ დარჩა ძირსა.
 ცოლს მუდარა გაუგზავნა —


თავთ ნახევი ყალამქრისა:
 „ნურც იტირებ, ნურც იგლოვებ,
 ნურც ცრემლს აგდებ — მიწის შვილსა: —
 იყო უფლის მოცემული,
 ისევ უფალ მიითვლისა.“

იობს კაცი მოუვიდა,
 მოციქული უფლის ცისა:
 „ჯორ-აქლემი სულ დაგეწვა
 და მინდორში გუნდი ცხერისა,
 ციხე-ქალაქი დაგეწვა,
 ქვა აღარ არის ქვაზედა...“

ის ერთი პილწი ეშმაკი
 იობს უზის მუხლის ძირსა:
 „იობ, რათ არ ღმერთს აგინებ,
 თუმც რომ გეშველებათ მითა?“

— გაბრუნდი, პილწო ეშმაკო,
 ეს საქმენი შენით მქირსა!...
 იობს მატლი დაეხვია,

წითლად-ყვითლად გადმოსდისა,—
ხელში უჭირავს ჩონგური
და სუფრები ნადიმისა.
ერთი მატლი გადმოვარდა,
იოზს დიდად ეწყინოსა:—
„სად მისდიხარ, შე ოხერო,
ძვალი ჰხარ და რბილი ჰამე,
ფიქრი ნუ გაქვს სიკვდილისა!“...
იოზმა უფალს შეჰმადლა
ხანი თვისის მოკითხვისა....
„იოზ, ისენ დაგიცოცხლო,
თუ სხვებ მოგცე სახე მზისა?“
—თავის ღღეში არ იქნება
გაცოცხლება ძველის მკვდრისა!....
იოზი ისე გაჰხადა,
იმის ნადგომს გადასცილდა...



ხატარ-ხატარა

სამეცნიერო წერილები

წერილი I.



ძალი კოტე! მთელ ამ სამთარს ძამახეძი სულ შეუძლოდ იყო, რაღაც წვეული ავი სურდო შესვდა. წარბოდიგინე, ისე გაიარა სამთარმა, რომ კურდღლის ხორცის გემო რა არის, არ კვინახავს! თოფი კი ტყუილად ჩხახე კვიდა.

იმ დღეს ჩამოიღო ძამახეძმა, სანადიროდ უნდა წასულიყო და, თურმე ნუ იტყვი, თოფს მთლად ქანგი მოჭკიდებია. ეს წვეული ქანგი რასაც კი მოედება, თუ დროსად არ მიეშველეთ, რკინასაც კი შესჭამს, ისეთი რამ ძლიერია.

დასწვევლას დმერთმა! ნეტა რა არი ეს ქანგი, რომ ასე კამბტერება?

ერთსეულ დედა ჩემს სადღაც კუთხეში, მიწასად, ძაკრატელი მივიწვდებოდა. იმ დღეს წინდიძველას ვამბედი და ძაკრატელი კი ვინავე, ძაკრამ რა?—ის თქვენ ძტერს და ძაწვევარს დაქმართოს, რაც ჩვენ ძაკრატელს დაქმართოდა: ისეთნაირად შეეჭამა ქანგს, რომ სასძარებლად აღარც კი ვამბოდა.

თურმე, თუ სადმე ნოტიო ადგილია, იქ უფრო იცის ქანგმა გამარჯვება.

მაგრამ ტყუილია, ძმაო! ღმერთმა დალოცოს იმის, — უკაცრადი ზანუხი კია, — ფეხებზედ ჰკიდია ჟანგი, ის ეველებს ოქროს; სადაც გინდა გადაავდე, მინც ოქროს და ოქრო, იმას ჟანგისა არ ეძინიან. აბა ამასე ეოფილს აი ნათქვამი: «ეველა ბუსი ბუსისო, ფუტკართან კი ეველა ტყუისო».

აზრც ვერცხლს ეძინიან ჟანგისა, და თურმე ნუ იტყვი, კოტე, კაღაც კი დალოცვილი ეოფილს. აბა მოუკალავე ქვებით საჭმელი რამ მოხარბეთ და სჭამეთ, მაშინვე მუცლის წვას და ჭრას დაგიწეებთ, ზოგს ზირიღვან საქმებაც დაემართება; ერთის სიტყვით აღაძიანი ჟანგით მოიწამლებს და, თუ დროზედ რძე არ დააღვენიეთ, აღაძიანი სიკვდილის ზირს მიაღწევს.

აი, ძმაო, ამიტომ თურმე ჰკალავენ სოლმე ძაღ-ძაღ ქვანებს. ქვანები, სომ იცი, სწილენძისა კეთდება და სწილენძი კი ისეთი რამ არის, რომ თუ მოუკალავი დარჩას, იმ წამსვე ჟანგი მწვანე ფრად ჩააკვდება, და ვაი იმის დღეს, ვინც ამ ჟანგს საჭმელში ჩაეოლებს, სულ ქოხორს აგლეჯინებს. კიდევ კარგი, თუ სიკვდილს გადაურჩას!

აბა, ძმაო კოტე, ვინძლო შენც გაფთხილდე და შენი სწორ-ამხანაგიც გააფთხილო, მაღლია: — როცა კალავადანული ქვანი ნახოთ, ან თუ მოკალაულ ქვანს წითელი სასები დასწნევიან და, მეტადრე, თუ ჟანგი მწვანე ფრადაც ჩაჰკვდომიან, იმისთანა ქვანით საჭმელს ნუ მოახარბებინებთ, მანამ მოსაკალად არ გაჰკსავნოთ.

ე, ვეწვავლე ჩვენ ლობიოს კოჭობს: იმისი სულაც ნუ ეძინიან! — ოღონდ კი ეოველთვის ცხელი წყლით სუფ-

თად კარეცხე და, რაც კინდა მოხარბე, ეველს შვენიერად
ჭო, კინაღამ არ დამავიწყდა! სომ კინახავს, სოგი ერ-
თა ვაჟბატონები სის კოვსით საჭმლის ჭამას რომ აღარ
კადრულობენ და ვერცხლის კოვსს კი ვერ ჭდირსებიან. აბა,
ძმაო, ამასეღ არის ნათქვამი: «ავი არ მავადრიან, კარგი
არ მადირსიანო».

ვიცი, გენახვება, ბასრებში ერთ-ნაირ კალთ დაფერილ
კოვსებს ჭვიდიან. ხმარებაში ამ კოვსებს ის კალა მალე
გადანცვდებათ სოლდე და ჩვენი უმეცარნი კი არას ნადუ-
ლობენ, როცა ამ გვარ კოვსებს ქანგი ისე აამწვანებს სოლ-
დე, რომ თითქოს ხავსი რამ მოჭკიდებიაო.

აბა ვინმლო, კოტე, არც იმისთანა კოვსი იხმარო, რო-
მელსაც კალა გადანცვუთიან და ქანგი მოჭკიდებია. მართა-
ლია, ჩვენი მამა-პაპა საჭმელს სელთ სჭამდა და ბევრნი
ესლაც მისდევენ ამ მამა-პაპის ჩვეულებას, მაგრამ არც სე-
ლით ჭამა უშიძარი; იმიტომ, ძმაო, რომ, ვინ იცის, კა-
ცი რას არ ეკარება სელთ, და თუ კარგად საზნით არ
დაიბანე, სოგი ისეთი რამ თვალთ-უხილავი ჩავაკვდება
სელსე, რომ მერე, თუ საჭმელს ჩაყოლე, კეთილ დღეს
არ დაგავენებს.

მაშ, ძმაო, ისევ სის კოვსს რა სჯობია, კარგა მდუ-
ღარე სელთ კი კარეცხე და, სუ გეძინიან, რასაც კინდა
შეექე. იძას კი რაღა ღანჯარაკი უნდა, ვინაც შეძლება სელს
უწიობს და ვერცხლის კოვსები შეუძლიან იქონიოს, არც
აძას უჭირს რა.

ძმაო კოტე, მე ძინც იძასა ვუიქრობ კიდევ, ნეტა რა არის
ის სვეული ქანგი? იმ დღეს ჩვენ მასწავლებელს ვკითხე და



იმან იცი რა მითხრა — ქანგი ჭაერისაგან წარმოხდებოდა.

აი დიდება შენდა ღმერთო! თურმე ნუ იტყვი, კოტე, ჭაერში ერთი თვალთაუნიღავი, ორთქლის მავკარი სსეული ურყევია, რომელსაც არც ფერი აქვს, არც გემო და არც სუნი, და სასულიც რაღაც უცნაური ჭკვიან, მქაუბნადი ეწოდება თურმე.

და აი ეს მქაუბნადია იმის მიხედვით, რომ სხვადასხვა ნივთები გვიქანებდებოდა. თან ისიც მითხრა, რომ ადამიანი და სხვა ეოველი ცხოველი და აგრეთვე მცენარეებიც მხოლოდ ამ მქაუბნადით ცოცხლობენო, რადგან, როცა ჭაერს ვსუნთქავთ, სულ ამ მქაუბნადს ვუღანავთო.

— ჭაერში როგორღა არის მეთქი ეს მქაუბნადი? — კვითსე მასწავლებელს და ჰასუნად ეს მივიღე:

— ჭაერსედ და მის თვისებასედ ძერე მოგეღანანრაკები დაწვრილებითაო.

აი, მხოლოდ კოტე, რა ამბები ეოფილა ქვეყნიერებასედ და მე და შენ კი არაფერი ვიცოდით! ანა ამასედ არის ნათქვამი: «სწავლა სინათლეს, უსწავლელობა კი სიბნელეო».

ბოუთმენლად ველი, ერთი როდის მიაძობს მასწავლებელი ჭაერის ამბებს, რომ მეც შენ მოგწერო, ჩემო სავაზრელო კოტე!

დავშთები შენი ძმა და მეგობარი ილიკო



იდი ხნის აშხაფი მინდა გიამბოთ. მასუკან სამი საუ-
კუნეა გასული. ეს აშხაფი მოხდა იტალიაში. ტოსკანის
მშვენიერ სატახტო ქალაქ ფლორენციაში, ერთ მივარდ-
ნილ, პატარა, მყუდროდ მდგომ სახლში, ფანჯარასთან,
იჯდა კარგი სახის ახალგაზდა დედაკაცი და რაღასაც ჰკერავედა.

ქალს ეტყობოდა, რომ ხელსაქმეს აგრე რიგად ყურადღებას არ
აქცევდა. წამ-და-უწუმ იცქირებოდა ოთახის კუთხისაკენ, სადაც იჯდა
თორმეტი წლის ყმაწვილი. ყმაწვილს წინ, სტოლზედ, ეყარა არეულ-
დარეული წიგნები, ნოტები, სურათები, მაგრამ იმის ყურადღება
სულ სხვა რასმეზედ იყო მიქცეული: საოცარის ცნობის-მოყვარეობით
თვალს ადევნებდა კედლის საათის ენას, რომლის ერთგვარი ხმაუ-
რობა — „ტიკ-ტაკ“ სევდას აუშლიდა ადამიანს.

— რატომ არას აკეთებ, გალილეო? — ჰკითხა ქალმა.

ყმაწვილმა არა უპასუხა რა, ვერც კი გაიგო, რასა ჰკითხავენდენ.

— მამა შენი რომ მოვა, ხომ გკითხავს, რა გააკეთეო, — მერე რას
უპასუხებ?

ყმაწვილი ერთ წამს გონს მოვიდა მამის ხსენებაზედ. საჩქაროდ
აიღო წიგნი და დაიწყო ფურცლების შლა, მაგრამ ცოტა ხანს შემ-
დეგ დაანება თავი და ისევ დააშტერდა საათს.

ქალმა საყვედურის ნიშნად თავი გადიქნია.

— შეილო, გალილეო! ნეტა რა ნახე მაგ საათში, რომ თვალს
ალარ აშორობ? შენ იმას იზამ, რომ ჩამომალებინებ მანდელამ მაგ
საათს. ტყუილად სწავლას გიშლის.

ამ მუქარამ ყმაწვილი გამოაფხიზლა.

— არა, დედილო, დაანებე თავი, ეს საათი ხომ არავის უშლის,
— მუდარებით უთხრა შეილმა: — ნუ ჩამომალებინებ, მე ამას იქით ბე-



ჯიითი ვიქნები, დავისწავლი ყველა გაკვეთილებს, ოღონდ დაანებებ თავი მაგ საათს.

ამ დროს უცებ კარები გაიღო და ოთახში შემოვიდა ერთი მალალ-მალალი კაცი. იმის შოღრუბლულ, სევდიან სახეს აღერსიანი ღიმილი დაეტყო, როდესაც ქალმა ხელსაქმე იქით გადასდო ქმრის დანახვანედ და საჩქაროდ მიეგება. ყმაწვილიც წამოხტა და გადაეხვია მამას.

— აბა, გალილეო, დაისწავლე შენი გაკვეთილები? გაათავე ის სურათი, რომელსაც ორი თვეა ხატავ, თუ უფრო სთხაპნი? დაუკარი ერთი ორჯერ მაინც ჩემი დაწერილი ნოტები?

ამ სასტიკ კითხვანედ ყმაწვილმა შიშით შეხვდა მამას, მერე მუდარებით გადაჰხვდა დედას, თითქოს სთხოვდა შეველასა.

— რატომ ხმას არ იღებ? დღესაც არა გისწავლია რა? დღესაც, როგორც მუდამ, ყველაფერს თავის ტკივილს დააბრალებ? ამ ბოლოს დროს გატყობ, რომ ძალიან გაზარმაცდი, ბეჯითი ყმაწვილი აღარა ხარ!

— დაანებე ბავშვს თავი, ვიჩენცო, — გამოესარჩლა დედა, — დაიჯერე, რომ ყმაწვილი ადგილიდამ არ დაძრულა.

— ვიცი, რომ იჯდებოდა ერთ ადგილას; ხომ არ ვამბობ, რომ ცელქობს; მაგრამ რა გამოვია მართო ჯდომით! წიგნები წინ უწყვიდა და კი არას აკეთებს. მე ვხედავ, რომ ჩემი დარიგება, ჩემი მეცადინეობა, რომ ისწავლოს რამე, ფუჭად რჩება. გალილეომ დაივიწყა ისიც, რაც პირველ-დასაწყის სკოლაში ისწავლა. სურათებს არა ხატავს კი — თხაპნის; კაცს გულს გადაუღწევს. მოთმინებიდამ გამოველი, მომბეზრდა მაგისი ყურება, ხვალვე გალილეოს მონასტერში მივცემ; დეე, ბერებმა გაწერთნან.

სთქვა ეს თუ არა, მამამ სასტიკად გადაჰხვდა შვილს და გავიდა ოთახიდან. საბრალო დედა დაფიქრდა. პატარა გალილეო კი მამის მუქარამ თითქოს კიდევ გაახარა.

მთელი დღე და ღამე საბრალო დედამ ტირილში გაატარა, ემუდარებოდა ქმარს, შვილს მონასტერში ნუ მისცემო. ამაოდ არწმუ-



ნებდა, რომ გალილეო სუსტი აგებულებისაა და მონასტერში რომელიც ცემად ჯერ ყმაწვილიაო. ვიჩენცომ მაინც თავისი სიტყვა ასრულა და მეორე დღით, თავის ფეხით, წაიყვანა შვილი მონასტერში და ჩააბარა ბერებს.

პატარა სახლი უბავეშვით მიყრუვდა, დაცარიელდა, ხმაურობა აღარავისი ისმოდა. წიგნები, სურათები და ნოტები აღარ ეყარა არცედარეული გალილეოს სტოლზედ, მხოლოდ კედლის საათი და ამ საათის მოუღალავი, მოტიკტიკე ენა, რომელსაც ყმაწვილი ხშირად ამტერდებოდა, მოაგონებდა ეხლა ნაღვლიან დედას თავის პირმშოს.

*
* *

მონასტერში დიდი წარმატებით მიდიოდა ყმაწვილის სწავლა; დედ-მამის სასიხარულოდ გალილეომ საოცარი ნიჭი გამოიჩინა და მონასტერში ყველას საყვარელი და საქები გახდა. ბერებმა მოიწოდინეს ამ ნიჭიერ ყმაწვილის ხელში ჩაგდება და უნდოდათ ესეც ბერად შეეყენებინათ.

ერთხელ ვიჩენცომ თვალი მოჰკრა თავის შვილს ბერის ტანი-სამოსში და იმ დღიდან ახალგაზდა გალილეოს ბერად სხვა გვარად დატრიალდა. მამას სრულებითაც არ უნდოდა შვილის ბერად შეეყენება, მაშინვე გამოიყვანა მონასტრიდან და გაგზავნა ქალაქ პიზას, იქაურ მაღალ სასწავლებელში, უნივერსიტეტში, ექიმობის სასწავლებლად.

გალილეომ პიზაში არ დაასრულა ექიმობის სწავლა.

ახალგაზდა ყმაწვილი მოულოდნელად გაჩნდა ფლორენციაში. მივიდა თუ არა თავის სახლში, პირდაპირ შეიჭრა დედის ოთახში. გალილეო მაშინ წამოსადეგი ახალგაზდა ყმაწვილი იყო სამაური შეხედულობისა; შავი ხუჭუჭი თმები ბეჭებზე სცემდა.

აღვლევებული გალილეო მხურვალედ მიესალმა დედას და მერე ცხარედ მოჰყვა ლაპარაკს:

— არა, მე ვერ გამოვალ ექიმად! ფუჭად ჩამივლის ის დრო, რასაც ექიმობის სწავლას მოვანდომებ, ტყუილად ვეწვალები. კმარა,



ეხლა მე ყმაწვილი აღარა ვარ, რომ სხვებმა მატარონ ხელითა შექკუა-გონება მაქვს და საქმეს ისე წაიყვან, როგორც ჩემი ჭკუა გამოქრის. კმარა! მე აღარ მინდა ექიმობის შესწავლა; არ მომწონს ექიმების დაძველებული აზრები.

—დამშვიდდი, დამშვიდდი, გალილეო! რა მოხდა? რადა ხარ აგრე აღელებული?—გაკვირვებით ჰკითხავდა დედა.

—როგორ თუ რა მოხდა? განა თქვენი სურვილი არ იყო, რომ მე უთუოდ ექიმობა შემესწავლა? მერე?—ტყუილად დრო დაეკარგე, და რიგიანი, გამოსადევი კი ვერა ვისწავლე რა.

ამ ლაპარაკის დროს ოთახში შემოვიდა ვიჩენცო და, შვილის სიტყვები რომ გაიგონა, ძალიან შეწუხდა; მამას დაეკარგა იმედი, რომ შვილი სახელ-განთქმული ექიმი გამოუვიდოდა, ჰხედავდა, რომ გალილეო მართლა პატარა აღარ იყო, ჰხედავდა, რომ იმის გაღვიძებულ და განვითარებულ ჭკუას დედ-მამა ვეღარ უწინამძღვრებს და შვილი ამათ ამორჩეულ გზას არ დადგება. ჰხედავდა ამას მამა და ნაღვლიანი, ჩაფიქრებული ხმა ამოუღებლივ ისმენდა ახალგაზდა ყმაწვილის აღელვებულს ლაპარაკს. ბოლოს გაიქნია თავი და უთხრა:

—როგორც ჭკუა გიჭრიდეს, შვილო, ისე მოიქეც. მე ნულარას დამბრალებ. მე გიჩვენე სწორე გზა, რომელიც მოგცემდა სიმდიდრეს და სახელს, შენ არ ინდომე, სხვა გზა ირჩიე,—ღმერთმა ხელი მოგიმართოს! არ დაგიშლი, დაადგე შენ ამორჩეულ გზას და იყავ ბედნიერი!



გატაცებით შეუდგა გალილეი იმ მეცნიერების შესწავლას, რომელზედაც იმას გული მისწევდა; მალე თავიც იჩინა და სახელი ისე გაითქვა, რომ ბევრს ხანს არ გაუვლია და გალილეი პიზის უნივერსიტეტში მასწავლებლად, პროფესორად, დანიშნეს.

პროფესორი, მართალია, ძალიან ახალგაზდა იყო, მაგრამ ყველას უნივერსიტეტის თვალად მიაჩნდათ. თავის საფუძველიანი ცოდ-



ნით, ჭკვიანური სიტყვით და ნიჭით გალილეიმ ბოლო მოუტოვა მტრების
ლებურ სწავლას.

ძველი-სწავლის მიმდევარნი, რასაკვირველია, მტრად გაუხდნენ
გალილეის. უნიჭოებს არ მოსწონთ, როდესაც სხვები, უფრო ნი-
ჭიერები, თავს იჩენენ; და აი ერთხელ, როდესაც გალილეიმ საქვე-
ყნოდ, მეცნიერების და დიდ ძალ ხალხის კრებაზედ, აშკარად დაუმ-
ტკიცა თავის მტრებს, რომ ისინი სცდებიან, იმათი სწავლა-მოდ-
ღერება შემცდარია, — იმათ იმის მეტი ვერა მოახერხეს რა, რომ გა-
ლილეი მეტიჩარა და გიჟ მსწავლულად დასახეს.

მას დღეს უკან უნიჭო მტრებმა მოსვენება აღარ მისცეს საბრა-
ლო გალილეის და იქამდე მიიყვანეს, რომ გალილეი იძულებული
შეიქნა, დაეტოვებინა პიზა და წასულიყო ფლორენციაში, ცარიელის
ჯიბით.

ძალიან უნუგეშო მდგომარეობაში ჩავარდა მსწავლული პროფე-
სორი, შინ რომ დაბრუნდა: დაბრუნების შემდეგ მალე მოუყვდა მო-
სუცი მამა და მთელი იმისი ოჯახი გალილეის შესანახავი გახდა.

სრული სიღარიბე და სიღატაკე ელოდა გალილეის, რომ ბედ-
ზედ არ მოშველებოდა ერთი კეთილი და ერთგული მეგობარი. ამ
გულ-კეთილ კაცის შემწეობით ვენეციის მმართველობამ მიიწვია ეს
გამოჩენილი მსწავლული ქალაქ პადუის უნივერსიტეტში პროფესორად.

ამ დროიდან იწყება ჩინებული და ყველასთვის სახსოვარი ხანა
გალილეის ცხოვრებისა. თერამეტი წლის განმავლობაში, რაც გალი-
ლეი პადუას იყო, თავის სამშობლო ქალაქს მოშორებული, ბევრი
რამ შესძინა მეცნიერებას.

* * *

ჩვენ ნაცნობ სახლში, ფლორენციაში, იჯდა მარტოდ მარტო
გალილეის დედა და რაღასაც აკეთებდა. მოხუცებული ნაღვლიანდ იგო-
ნებდა თავის განსვენებულს ქმარს, თავის უფროსს ვაჟი-შვილს, სა-
ხელ-განთქმულს და ყველასაგან ცნობილს, რომელიც, სამშობლო
სახლს მოშორებული, სხვაგან, შორს სცხოვრობდა.



ამ დროს ერთბაშად კარების კრიალი მოესმა. მოხუცმა მთავრმა და და თვალ წინ გამოეცხადა წამოსადეგი, მშვენიერის სახის ვაჟ-კაცი, სასახლის ტანისამოსით.

— გეყოფათ მწუხარება, ქალბატონო ჯულიო! — უთხრა მოხუც-ახლად შემოსულმა და თავი დაუკრა, — რა დროს დარდი და ნალღელია, სასიამოვნო ამბავი მომაქვს, მახარობლად მოედივარ. თქვენმა შეილ-მა, თქვენმა სახელოვანმა გალილეომ მთელი სასახლე აღტაცებაში მოიყვანა. თითონ მეფემ გამომგზავნა თქვენთან მახარობლად — მიბ-რძანა გთხოვოთ, ეხლავე მისწეროთ პაღუში მეფის სურვილი, რომ დაუბრუნდეს თავის სამშობლო ფლორენციას, იმის სასიქადულო მამულის შეილი გალილეი.

— როგორ! გალილეოს ეუბნებიან, დაბრუნდით? ჩემ საბრალო გალილეოს, ჩემ ტანჯულ შეილს? არა, არა მჯერა... ან რა ფიქრად მოსასვლელია? განა სამშობლოში არ დასახეს გიყად, განა სამშო-ბლოში არ დაუკეტეს იმას უნივერსიტეტის კარები? რისთვის გნე-ბავთ, რომ ჩემმა შეილმა დასტოვოს ის სტუმართ-მოყვარე, თავის-უფალი ქვეყანა, საცა იმან მოიპოვა მყუდრო ცხოვრება, პატივი და სახელი? რისთვის, ერთი მითხარით? კიდევ ჩავარდეს სატანჯელში?... არა, არ მინდა, თავი დამანებეთ!...

— მოიფიქრეთ, ბატონო, მაგას რა მოჰყვება! თქვენი კერპობის და ურჩობის წყალობით იმას დევნას დაუწყებენ. ამაში თქვენ იქნე-ბით დამნაშავე. მეფე უბრუნებს იმას ყველა ღირსებას და უფლებას, რომელიც ისე უსამართლოდ წაართვეს! გარდა მაგისა, ჩენი მოწყ-ალე ხელწიფე თქვენ შეილს თავის სასახლეში უპირებს აყვანას, როგორც ფილოსოფოსს და პირველ მეცნიერს. ჯამაგირსაც დიდს უნიშნავს და იმდენ თავისუფლებას აძლევს, რომ თავის დროს და ცოდნას როგორც უნდა, ისე მოიხმარებს... ნუ თუ ყველა ეს წყა-ლობა საკმარისი არ არის, რომ ჩვენ ხალხს შეცოდება ეპატოოს.

— კარგი, კარგი! შეილი ხომ დამაბრუნდება! როგორც ყმაწვი-ლობაში, აი აქ გვერდით მოვისვამ! ადრინდელსავე შეაქქვრდება



ამ საათს... იქნება ეს საათი იყო მიზეზი, რომ იმან ისეთი სახელი გამოიჩინა..!

ამ მოულოდნელმა ამბავმა საბრალო დედა სიზარულით აავსო. საჩქაროდ მისწერა შვილს და სთხოვდა, მამის კერას დაჰბრუნებოდა.

იმავე ზაფხულს, 1610 წელს, დიდის ამბით დაბრუნდა ფლორენციაში გამოჩენილი მსწავლეული და დიდადაც დაასაჩუქრეს. მეფემ უბოძა ოქროს ძეწკვი და დიდი საჩუქარი ფულად. გალილეის პატივ-საცემლად გადიხადეს დიდი დღესასწაული, პოეტები შესხმას უძღვნიდნენ, მსწავლეულნი ჰკვირობდნენ ამის ნიჭიერებას. თვით იმ დროის გამოჩენილმა ვარსკვლავთ-მრიცხველმა კეპლერმა შეამოწმა გალილეის ცოდნა და ნიჭი და სთქვა: „შენ გაუსწარ ყველას, გალილეი!“

მართლაც, იმ მეცნიერებისთვის, რომელსაც ასტრონომიას, ვარსკვლავთ-მრიცხველობას, და ფიზიკას ეძახიან, ისე ბევრი არავის შეუძენია, რაც გალილეიმ შესძინა.

ამ მსწავლეულმა გვიჩვენა პირველად, რომ მზეზედ ლაქები არისო; ამან გვასწავლა, რომ მთვარეზედ ბევრი მთა და ბარიაო; ამისგან გავიგეთ, რომ მზე თავის გარშემო ტრიალებს. იმანვე გაგვახსენა კვლავ ვარსკვლავთ-მრიცხველ კოპერნიკის სწავლა, რომ ჩვენი დედამიწა მზის გარშემო ტრიალებს. ამანვე აგვისხნა დიდი ვარსკვლავის ოტარიდის (მერკურის) ცვლილება. გალილეიმ შემოიღო დურბინდის, ტერმომეტრის *) და მიკროსკოპის **) ხმარება და კიდევ სხვა ბევრი რამ გამოიკვლია და გვასწავლა.

ამას ყველა ხედავდა და ამის გულისთვის ასეთ პატივსაცემდნენ გალილეის; ვერა ჰხედავდნენ ამას მხოლოდ უმეცრების მომხრენი. ესენი გაბრაზებულნი იყვნენ, რომ გალილეი ასე ძლიერ იმარჯვებდა იმათზედ, და ამაოდ ცდილობდნენ, შეეკრათ ახალი სწავ-

*) ტერმომეტრი — სითბოს და სიცივის შესაზუგობი იარაღია.

***) მიკროსკოპი — ერთგვარი იარაღია, რომელიც პატარა საგნებს დიდად გვაჩვენებს.



ლის-გზა. გალილეი მხნედ და მამაცად იგერებდა მტრებს და მასხარადაც იგდებდა...

მაშინ უმეტრობამ სხვა გზა ამოირჩია. გალილეის საშინელი ბრალი დასდო, — დასწამეს ვითომ-გალილეი ღეთისა და მის რჯულის წინააღმდეგობას ქადაგობდეს. ამათ გამოაცხადეს, რომ გალილეის სწავლა არ ეთანხმება წმინდა სახარებას და წინააღმდეგია ეკლესიისაო.

მანამ ამ გამოჩენილს მსწავლულს ძლიერი მფარველი, მეფე კაზიმო II, ცოცხალი ჰყავდა, ამ საშინელ ბრალს ადვილად იცილებდა თავი და ებრძოდა თავის მოსისხლე მტრებს. მაგრამ ბოროტ კაცების ღვარძლს და გესლს საზღვარი არა ჰქონდა. დღე არ გავიდოდა, რომ გალილეი არ დაებეზლებინათ რომში ინკვიზიციის წინაშე.

ინკვიზიცია საშინელი სასულიერო სამსჯავრო იყო; ამ სამსჯავროს მსაჯულნი სასტიკად ეპყრობოდნენ, ვისზედაც კი ეჭვს შეიტანდნენ, ან ენას მიუტანდნენ, რომ სარწმუნოების წინააღმდეგიაო. ეს მსაჯულნი შეუბრალებელნი იყვნენ და ხშირად მართალსაც დასჯიდნენ ხოლმე.

აი ამ ინკვიზიციას მიჰმართეს გალილეის მტრებმა. დროებით ინკვიზიცია ხმას არ იღებდა, რადგან მეფე ამის მფარველი იყო.

მაგრამ მოვიდა დრო, და გალილეის უბედურობამ უსწრო. იმის მფარველი მეფე გარდაიცვალა და ტოსკანიის მფლობელად გახდა ამისი ქვრივი, რომელიც ინკვიზიციის მსაჯულების სიტყვას ასდევდა.

ამავე დროს გარდაიცვალა აგრეთვე გალილეის მფარველი რომის მღვდელთ-მთავარი, პაპი გრიგოლი, და მძლავრმა ურბანმა დაიკირა იმისი ადგილი. ამ ხანებშივე გალილეიმ გამოსცა მეტად შესანიშნავი თხზულება: „სჯა ცისა და ქვეყნის ორ-გვარ მოწყობილობაზედ“. ამ თხზულებაში სხვათა შორის მასხარად იგდებდა თავის უმეტარ მტრებს. მტრებმა ხელი ჩასკიდეს ამ თხზულებას, ჩააგონეს პაპს, ვითომ თხზულებაში ის ყოფილიყოს გამოყვანილი და მასხარად აგდებული. გაბრაზებულმა ურბანმა საშინელი ღვეწა დაუწყა დაამწერს.

იანვარი იდგა 1632 წლისა. ფლორენციის ქუჩები ჩაბნელებული იყო. დასავლეთიდან შავი ღრუბელი მოდიოდა. შორიდან ოდნავ მოისმოდა ქუხილი, და თან-და-თან ეს ქუხილი *) ამ სატახტო ქალაქს მოუახლოვდა. ზოგჯერ ერთ წამს გაიელებდა და გაანათებდა შავი ღრუბლით მოცულ ცას, და მერე ისევ სიბნელე მოჰყვნდა არე-მარეს.

დაღალულ-დაქანცულ ქალაქს, ახალწლის ღროს გატარებაში გართულს, ღრმა ძილით ეძინა. ყველგან დიდი სიჩუმე იყო ჩამოვარდნილი. თანჯრებიდგან სინათლე არსაით მოჩანდა; მხოლოდ ერთი სახლიდგან, ჩვენი ნაცნობი სახლიდგან, სადაც იდგა გალილეი, გამოსჭვრეტდა შუქი.

საწერ-სტოლთან, თავის ოთახში, იჯდა სამოცდა ათის წლის მთლად გათეთრებული მსწავლეული გალილეი. მოხუცი ღრმად გართული იყო კითხვაში, თავის უკანასკნელ თხზულებას შენიშვნებს უკეთებდა და აბა რა ფიქრად მოუვიდოდა, თუ რაიმე უბედურება მოელოდა.

უტბად, ამ საშინელ სიჩუმეში, მოისმა კარის რახუნნი... მეორედაც მალე დაარახუნეს. მოხუცი წამოდგა და კარი გააღო. გალილელისთან შემოვიდა ოთხი კაცი, თავით ფეხამდის შავებში გახვეული, მხოლოდ თვალები-და უჩანდათ. მაგრამ გალილეი მალე მიჰხედა, ეინც იყვნენ ეს უდროვოდ მოსულნი. ყველამ იცოდა, რომ ამ სახით იცვამდნენ ინკვიზიციის მსახურნი.

გალილეი ისე შეიპყრეს, რომ ხმა არ ამოუღია, ხელი არ გაუწიქრევია; ავად-მყოფს, დაუძღურებულს მოხუცს თავი უკრეს რომში. იანვარში გზები გაფუჭებული იყო და უდანაშაულოდ შეპყრობილმა მოხუცმა თითქმის თვე ნახევარი გზაში გაატარა და ნახევარზედ მეტი გზა ფეხით გაიარა.

რომს მიიყვანეს თუ არა, საპყრობილეში ჩასვეს გალილეი. და აქ

*) იტალიაში, როგორც სხვა თბილ ქვეყნებში, ზამთარში იცის ხოლმე ხანდა-ხან ქუხილი.



დაიწყეს ინკვიზიციის მსაჯულებმა თავიანთ დაუსრულებელ მსაჯულებს კითხვა და ტანჯვა.

გალილეი სხვათა შორის ამბობდა და მეცნიერულადაც ამტკიცებდა, რომ მზე კი არ უფლის გარს დედამიწასაო, დედამიწა ტრიალებს მზის გარეშემოვო.

მტრებმა ეს დიდ და მიუტყვებელ ცოდვად ჩაუთვალეს გალილეის, ინკვიზიციას დაასმინეს, და ინკვიზიციამაც ეს დაიხვია ხელზე და იმის ცდაში იყო, რომ ძალ-დატანებით გადაეთქმეინათ გალილეისთვის ეს აზრი.

სულით და ხორცილთ დატანჯულს გალილეის ხშირად თვალწინ წარმოუდგებოდა ხოლმე იმ უბედურთა ხვედრი, რომელნიც არა ერთხელ დაუტანჯავს და დაუწვამს ინკვიზიციას, მხოლოდ იმიტომ, რომ იმათი აზრი ამათთას არ ეთანხმებოდა, და მოხუცმა ველარ შესძლო და სასო-წარკვეთილებით უთხრა თავის მტანჯველებს:

— თქვენ ხელში ვარ და, მეტი რა ღონეა, უნდა დაგემორჩილოთ, რაც გნებავდეთ, ის მიყავით!


მსაჯულებსაც ეს უნდოდათ, ამითი ისარგებლეს და ხელ-წერილი ჩამოართვეს, რომ გალილეი თავის სწავლა-მოძღვრებას უარ ჰყოფს.

იმის მტრებმა არც ეს იკმარეს. მალეით, ჩუმ-ჩუმად ისეთ ორმოს უთხრიდნენ, რომელიც ამ გამოჩენილ მსწავლელს უთუოდ ბოლოს მოუღებდა.

იმ წელსვე, 16 ივნისს, საღამოთი პაპის ურბანის სასახლეში, სარდაფის თალებით ამოყვანილ დარბაზში მოგროვდა უმაღლესი სამღვდელთა. თუმცა სახე არავის უჩანდა, მაგრამ ეტყობოდა კი, რომ ამათ შორის თვითონ პაპი-ურბანიც ბრძანდებოდა.

საშინელს, თავზარდამცემს სამსჯავროს წარმოადგენდა ეს მკრთალად, მოწითლოდ განათებული დარბაზი, ჩაბნელებული თალები, საწამებლად მომზადებული იარაღები და ხმა-გაკმენდილნი სულიერნი მამანი, შავებში გახვეულნი.

კარგა დიდ ხანს იყო ასე სიჩუმე. შემდეგ მსაჯულებმა დაიწყეს ლაპარაკი. ბოლოს ერთი მსაჯული წამოდგა და წაუკითხა გალილეის



განაჩენი ისეთის ხმით, თითქო ეს ხმა სამარიდგან მოისმისო. ჩინის ძალით მოხუცისთვის უნდა მეორედ გამოეკითხნათ, ეწამებინათ და აღეკრძალათ წაკითხვა იმის თხზულებისა; სახელოვან მსწავლულისთვის საქვეყნოდ უარი უნდა ეთქმევიებინათ თავის აზრებზედ და ბოლოს უვადოდ ციხეში დაემწყვდიათ.

მსაჯულის გაქვავებული გულიც კი, რომელსაც თავის დღეში არც კი შეჰპაროდა სიბრალული, — ეხლა აღშფოთდა, რომ ასე სასტიკად უნდა დასჯილიყო გამოჩენილი მოხუცი.

— ეს ძალიან სასტიკი განაჩენია, მე ხელს ვერ მოვაწერ, — სთქვა ერთმა მსაჯულმა.

— ეინც თანახმა არა ბრძანდება, ეთხოვე, კრებას თავი დაანებოს, — ბრძანა ცივად მსაჯულთ-უფროსმა.

ორიოდ მსაჯული წამოდგა და გავიდა. ათმა დანარჩენმა საჩქაროდ ხელი მოაწერეს.


ხუთი დღე გავიდა ამ ამბავს შემდეგ. დიდ ძალი ხალხი მიაწყდა ქალაქ რომის ერთ ეკლესიას, სადაც უნდა ენახათ, როგორ შეარცხვენდნენ და დაამცირებდნენ იმ კაცს, რომლის სახელი დღეს, სხვათა გამოჩენილ იტალიელთა შორის, ისე ბრწყინავს, როგორადაც იმისგან აღმოჩენილი ვარსკვლავები.

შუა ეკლესიაში, ამალღებულ ადგილას ისხდნენ მსაჯულები, იმათ წინ იდგა მოხუცი გალილეი, თვალცრემლიანი, დაჩოქილი. მსაჯულთ-უხუცესი ხმა-მალლა უკითხავდა გალილეის განაჩენს.

როცა განაჩენის კითხვა გაათავეს, ერთი მსაჯული მოუბრუნდა გალილეის და უთხრა:

— უღირსო მოწავე, გალილეი, ღმერთი და ხალხი ელის, რომ მოინანიო და უარ ჰყო შენი ცრუ აზრები, შენი სწავლა-მოძღვრება!

— მე, გალილეი, განსვენებული ვიჩენცო გალილეის შვილი, სამოცდა ათის წლის მოხუცი, მუხლს ვიდრეც თქვენ წინაშე, უწმინდესნო მსაჯულნო... ფიცს გაძლევთ, რომ მწამს კათოლიკეთა ეკლესიის სწავლა და ვფიცავ, რომ ამას იქით არც სიტყვით, არც წერით არ გამოეთქვა ის აზრი, ვითომ დედამიწა არ იყოს ცისა და



ქვეყნის შუაგული ადგილი. აღარსადა ესთქვა, ვითომ დედამიწა ტრიალებდეს მზისა და თავის გარშემო... და თუ ჩემ ფიცს გადვუდგე, გთხოვთ, დამსაჯოთ ისე, როგორადაც ღირსი ვიყო.

როგორც რომ ეს ძალ-დატანებული ფიცი გამოსთქვა, სევდით და ნაღვლით გატაცებული მოხუცი უეცრად შეიცვალა. იმის ჩინებულ თვალვებს ქაბუკის ცეცხლი მოედო, თვალის დახამხამებაზედ წამოხტა ფეხზედ, გაიშალა წელში, მიწაზედ ფეხი დაარტყა და ხმამალლა სთქვა:



— მაინც კი ვიტყვი, რომ დედა-მიწა ტრიალებს!

ხალხი აღელდა. ზოგი იბრალებდა მოხუცს და ზოგნი კი, მეტადრე იმის მტრები, დასცინოდნენ და ჰგმობდნენ.

გალილეი მაშინვე საპყრობილეში წაიყვანეს, მაგრამ დიდხანს არ იყო დამწყვდეული. მეგობრები ბევრს ეცადნენ და მალე გადიევა-



ნეს ფლორენციის ახლოს, ერთ სოფელში. აქ მოხუცი მკვლევარი ცხოვრობდა, არავის ნება არ ჰქონდა იმისი ნახვისა, გარდა იმისი ქალებისა.


უძლიერი, სხეულით დაცემული მოხუცი დღე და ღამ მუშაობდა და სწერდა ამ განმარტოებულ, მიყრუებულ ადგილას.

სიკვდილის ორიოდ წლის წინად გალილეიმ დაკარგა თვალის სინათლე. ცა და ქვეყანა, რომელიც ამან ასჯერ და ათასჯერ გადათვალიერა და ჩვენ დაგვიახლოვა, ეხლა ამისგან უხილავი გახდა.

სიკვდილის წინად მოხუცმა დაიბარა თავისი საყვარელი მოწაფე ტორიჩელო და უანდერძა, განეგრძო მისი სწავლა-მოდერება.

8 იანვარს 1642 წელს გაქრა დიდი მნათობი, რომელმაც თავის, ზეცით მომადლებულ, ნიჭით მისცა სინათლე ცას და ქვეყანას.

ფლორენციაში, წმინდა ჯვარის ეკლესიაში, გალილეის საფლავზედ სდგას მშვენიერი ძეგლი, რომელსაც ზემოდამ დასცქერიან გეომეტრიისა და ასტრონომიის ფიგურები და თითქოს დასტორიანო შოფლიო გენიოსს. ეს ძეგლი დაუდგეს გალილეის შვილი-შვილებმა ასი წლის შემდეგ, თავის მამა-პაპის შეცდომის გასასწორებლად.



ო ლ ო ლ ი



ემო ზატარა მკითხველო, იქნება გაგეგონოს ოლოლის ამბავი, ზღაპრად რომ არის ჩვენში დარჩენილი. მაგრამ იქნება იკითხო, რა ფრინველია ეს ოლოლიო?

თუ სოფელში გიცნოვრია და სოფელ გარეთ, მინდორ-ტყეში გივლია, გეცოდინება, რაც ფრინველია ოლოლი. ზოგან ოლოლს ეძახიან, ზოგან მოლაღურს, ზოგან კიდევ სვინჩას.

მაინც ვიცი, შენს მეგობრებში ისეთებიც იქნებიან, რომ ოლოლი არ ენახებათ. ამიტომ კარგია შევიტყოთ, რა ფრინველია ეს მოლაღური, რა შესედულობისაა, როგორ ცხოვრობს და რას არგებს ადამიანს. გიამბობთ, რაც ერთ მსწავლულს კაცს დაუწერია იმის ცხოვრებაზე.

შაშვი სომ ვუელას გენახებთ,—ოლოლიც შაშვსა ჰკავს, ცოტა შაშვსე მოხდილია კი, თითქმის მტრედის ოდენაა. ნისკარტი მოგრძო აქვს, ფრთები გრძელი, ფეხები მოკლე. მამალს ტანი და ბოლოს წვერები მხიარული-უვითელი ფურისა აქვს, ფრთები და ბოლო მოშავო; დედალი ნაცრის-ფერია, ცოტა მომწვანოდ დასცემს.

ოლოლი ჩვენში საფსულის სტუმარია, როგორც მერცხალი, და სამთარში თბილ ქვეყნებში მიდის.

ოლოლის საუვარელი საცხოვრებელი ადგილი ფოთლიანი ტყეა; მთა ადგილი არ უყვარს და ძვირად თუ გზა-

გზა შვეა. თუძცა სოფელს ახლო ტრიალებს, ადამიანს ძინის
 ვრდიება. დაუდერაგი რამ კია, ერთ ადგილას ვერ ისვენებს,
 სულ ფთხრიალებს, სტის სძირს ფოთლებში, ძვირად თუ
 ერთ ხეზე და მეტადრე ერთ ტოტზე გაჩერდება. მუდამ ფა-
 ცა-ფუცძია, ხან აქეთ ფრინავს, ხან იქით. ჯაგებსე კი იძ-
 ვიათად დაეძვება ხოლმე, დედაძინაზე ხომ უფრო ძვირად,
 და, თუ დაეძვა, იძღენს ხანს დაწნება, რომ ჭიას დაავლოს
 ნისკარტი და გააქანოს. დედაძინაზე სიარული ვერ ეხერ-
 ხება და თითო ოროლას თუ გადაბიჯებს.

ეს ფრინველი ცალკედ, წვეილ-წვეილად ცხოვრობს, დე-
 დლი და ძაძლი ერთად. გულადი, თავგამოდებული ფრინ-
 ველია. მოურიგებელი რამ არის, წამ-და-უწუმ ჩხუბს უტყენს
 და სდევნის თავის მოგვარესაც და სსვა ფრინველსაც.

ფრინვა ძაძვივით იცის—შრიალითა და სისწრაფით.
 ისეთი ხალისიანი ფრინვა იცის, რომ სძირად მთელ სა-
 ათობით დროს სსვა ოღოღლის დევნაში და გაძევაში ატარებს.

ძაძლი გალობს ძაღლის და საამურის ხმით.

ოღოღლი ეველგან უუვართ და სოგან სასლშიაც ინახ-
 ვენ, რადგანაც მოუდალავი გალობა იცის. ძვრამ დაძვე-
 დეული ისე როგორ იგალობებს, როგორც თავისუფალი,
 ტეეში რომ დანავარდობს. ჯერ მხეს თავი არ ამოუყვია,
 რომ მისი გალობა მოისძის და შუადღემდის არ გაჩუბდება.
 მერე ცოტას შეისვენებს და საღამოს, მხის ჩასვლისას, ისევ
 მოაყოლებს გალობას. დრუბლიან დღეშიაც კი არ მოიწ-
 ვენს სსვა ფრინველებსავით; ცქვიტად არის და მოღსენით.

ტეეში რომ სსვა ფრინველი არ ჭაჭანებდეს, ერთი წვეი-
 ლი ოღოღლი კძარა. ძაძლი ისეთს ხმაურობას და მსიარულე-



ბას ასტესს, ისე დასტის ხან აქეთ, ხან იქით, სიხუდემ აღარ ემხევა, გეგონებთ, ფრინველებით სავსეა. მთელს არე-მარეს სიცოცხლით ავსებს თავის მოძრაობით.

ბუდის კეთებას მაშინათვე შეუდგება, რაკი ჩვენში მოვა. დედულ-მამული ერთად მუშაობენ დიდის გულმოდგინებითა. მოსძებნიან სამთითასავით გამოძვერილ ტოტსა მღალ ხისას, მოიტანენ ბლახნის გამხმარ ღეროს, ერთ წვერს ტოტსე მიაკრავენ ნერწვევითა და გადაახვევენ რამდენჯერმე მაგრად; მერე მეორე წვერს ამ გვარადვე მეორე ტოტსე გაამკრებენ. მეორე ღეროს მოიტანენ და ამ გვარადვე გადაახვევენ, შეჭკრავენ ერთმანეთსე. ეს განლავს სამირკველი.

ამ სამირკველს ბლახნის ფოთოლს შეუხლართვენ, და სწნავენ, ასე რომ კარგი მკარბი ზარკი გეგონებთ. ბუდის დასაწნელი მასალად ხმარობენ გამხმარ ჭინჭრის და სხვა ბლახნის წვრილ ღეროს, ფოთოლს, მატელს, სავსს, ობობას ბუდეს, და სხვას ამგვარს. ბუდეს ამ გვარად რომ დაასრულებენ, დედულს ერთი საქმე კიდევ დარჩება. შიგ უნდა ჩაუფინოს რბილი ბუძბული, მატელი და ბეწვი.

თიბათვის დამდეგს დედული დასდებს ოთხ-სუთ თეთრ კვერცხს, რომელსაც მოძავო, მოწითლო და ნაცრის-ფერი წინწკლები აურიან, და დაჯდება კრუსად. დედულ-მამული მალთან უფროსილდებიან კვერცხებს და კრუსის აკდება მწელიან. ახლოს რომ მიეკაროს ადამიანი, დედულ-მამული თითქმის ზირში ეცემიან. დედული შუადღისას საჭმლისთვის აფრინდება და იმის ნაცვლად ზატარახანს მამული აწის კვერცხებს.

თორმეტ-თხუთმეტის დღის შემდეგ ბარტყები გამოიჩი-

კებიან. ზაწია ოლოლებმა ძალიან ხარბი ჭაბა იცინა მალე
 ისრდებიან, და დედა ძაღე დააფრენს სოღმე.

ოლოლის საჭმელი წვრილი ჭიებიან, მეტადრე ზეველა,
 ძატლი და რაკი ბაღებში თუთა-ბაღი განხდება, კაკონა-
 რიანთ, მოედებიან და თქვენსე ნაკლებ არ კაწეობენ სოღ-
 მე. მებაღები უხივიან, სიანს კვაძლევისო, სოკჯერ არ ინ-
 დობენ, თოფსაც კი ესვრიან.

უსამართლოდ კი იქცევიან: ოლოლი რომ არა ეოფილ-
 იეო, თქვენი ძტერი იქნებოდა, რაც ბადის ზატრონს მოუ-
 ვიდოდა. ჭიბ-ღუბ ისე კაძნავლდებოდა და იმოღენა სიღს
 ისე შესჭამდა, რომ ნახევარიც არ დაჭრებოდა ზატრონს.
 ოლოლი ჭმეელის ბადის ზატრონსა და ჭიებსა სჭამს, მე-
 ტადრე როცა ბარტეები ჭეავს.



აი ამისთანა ფრინველია ოლოლი. ამისი დაწეწანა



ბელი ფაცა-ფუცი, მოუსვენრობა, გაჯავრებული ნაღვლიანი სტვენა, — უთუოდ ყველა ეს უნდა იყოს იმის მიხედავად, რომ ჩვენ ხალხს ძველადგანვე ის სღაპარი გამოუთქვამს, რომელსაც ესლა ქვემოდ გიანბობით.

ივენენ ზატარა და-ძმანი. ერთმანეთი უყვარდით და უერთმანეთოდ ვერც ჭირში სძლებდნენ და ღვინის ღვინად არ მიანხლათ. ობლები ივენენ, დედა მოჭკვდომოდით და დედი-ნაცვალნი ჭებვდით. ეძაწვილები კეთილის გულიანნი ივენენ, დედი-ნაცვალნი კი ავი ჭებვდით და ავად ეწეობოდით.

ერთსელ ზატარა ეძაწვილმა ძროსა წაიყვანა სამიჯრად; ავი უბედურება დაეძარბა, ძროსა დაკარგა. ნაღვლიანი მოვიდა შინ და შესჩივლა დედი-ნაცვალს, ძროსა დაკარგეო.

დედი-ნაცვალმა სულ ცეცხლი წაიკიდა, როგორ თუ დაჭკვრეო.

— რა ვქნა, დედილო! ბევრი ვეძებე, ბევრი ვეხეუტებლე და თვალი ვერსად მოგვარეო, — უთხრა ბიჭმა ტირილით.

გაუჯავრდა დედი-ნაცვალნი და უბრძანა:

— წადი, მოძებნე და, სახამ არ იწოვო, შინ დაბრუნებული არ დაძენსოვო.

გამოვიდა შინიდან ბიჭი დაღონებული-დაძმარებული. დაძაღ იფიქრა, ძარტო როგორ ივლისო და თან გამოჭებ. გაუდგნენ კ'სას.

ბევრი ჯავრი აწუხებდა და-ძმას: ცაღვე ძროსის დაკარგვა, ცაღვე დედი-ნაცვალის წერომა და ცაღვე თავისი ობლობა. სწუხდნენ, ნაღვლობდნენ ბევრსა, მაგრამ კულის არ იტყვდნენ და ერთმანეთს იმედს აძლეუდნენ: ისე სად გადკარგებოდა ის სამკლე, რომ ვერ ვინაოვითო.



დაუწევს ძებნა: ხან მინდორი მოიარეს, ხან ტყეში და-
ვიდნენ, ჯაგებში სძებნეს, ხეუ-ხეუში აიარეს და წაიარეს;
მაგრამ ვერ იპოვეს და ვერა.

—რა გვეძულებს, გოგო, რომ ვეღარ ვიპოვოთ?

—ღმერთი როგორ გაცვიფრებს, ბიჭო, რომ ვერ ვი-
პოვნოთ,—ამხნეებდა და მძასა:—ვიპოვნით, ვიპოვნით; აი
კიდევ მოვნახოთ, ნახავ, თუ არ გამოიხდეს ის ხვენი ცოდ-
ვით სავსე.

—აი ტყუილად კი არ იტყვიან ხოლმე: დედი-ნაცვა-
ლიო—თვალში ნაცარიო.

—განს, ბიჭო, სხვა დედი-ნაცვლები არ არიან, რომ
კარგები არიან დვიძლ დედანსავით.

—ჩვენ კი ასე დაგვეძარტა, ჩემო დაო!

—ნუ ჯავრობ, ბიჭო! მოდი იცი რა ვქნათ: შენ იქით
წადი და მე აქეთ ვივლი. ერთად რომ დავდივართ, ძროხა
იქნება იქით არ იარება და მეორე მხარეს დადის.

—ეკ კარგა იფიქრე, გოგო. აგრე ვიპოვოთ და მერე
ამ ადგილას შევიყარნეთ.

ერთი ერთ მხარეს წავიდა, მეორე მეორე მხარეს. ბი-
ჭი რომ ხეუში დაეძებდა, გოგო მძღლობსე ტრიალებდა და
არე-ძარეს ათვალიერებდა; ერთი რომ გორას გადადმა გა-
დავიდოდა, მეორე გადადოდა მხარეს უვლიდა; მძა რომ ტყე-
ში შევიდოდა, გოგო მინდორის ზირას დაბოდა. რამდენი
ადგილი გასომეს, რამდენი შიში ნახეს მიერეუბულ ადგი-
ლებში მხეცისა და ნადირისაგან, რამდენი შიშილი და წყურ-
ვილი გამოიარეს, რამდენჯერ მოქანცულები დაბრუნდნენ და-
ნიძნულ ალაგას, მაგრამ ძროხის ამბავი კი ვერ მოუტანეს



ერთმანეთსა. გულგადალეულები ჭკითხავდნენ ერთმანეთსა და მწარე ზასუსი ესმოდათ:

— ვერ იანოფნე, ვერ იანოფნე?

— ვერა, ვერაო!

— ოჲ.. ჭო.. ჭო.. ჭო.. ჭო...ო! რა ცეცხლიაო!

ხიოდნენ, ტიროდნენ, ჯავრობდნენ და მოთმინებიდამ რომ გამოვიდოდნენ, სოგჯერ გულ-წეროდით წამოსცდებოდათ ხოლმე:

— ჩვენს დედინაცვალს თვალში ნაცარიო, გულში ღახვარიო!

დაისვენებდნენ ცოტას, შესნივლებდნენ ერთმანეთს თავის უბედურებას და ისევ შეუღებოდნენ ძებნას. მაგრამ ამოდენა ტანჯვაბა და სიარულმა სულ ტყუილად ჩაუბრათ.

ბოლოს მეტად შეწუსებულები კიდევ დაბრუნდნენ და ჩამოსხდნენ შესასვენებლად. თვალს აეოღებდნენ ხან ბაღახის ბიბინსა, ხან ფოთლის თამაშობასა და ფრინველების ფრენასა. უეურებდნენ, ჩიტები რა მსიარულადა სტოდნენ, ფთხრიალებდნენ, მიფრინავდნენ და მოფრინავდნენ, ჭიკჭიკებდნენ და ქრიაბული გაჭქობდათ. უეურებდნენ, რა ცქვიტად და სწრაფად გაჭქრავდნენ და გამოჭქრავდნენ; საითაც უნდოდათ, გაექანებოდნენ და ერთ წამსვე უკან ბრუნდებოდნენ. არც არავისი ბრძანებისა ეძინოდათ, — ფრინვას დაგვიძლისო; არც არავისი სიყვარული უძლიდათ, ჩვენის ფრინვით ვინმე არ ვაწყენინოთ და თავი უნდა შევიკავოთო. ზირიქით ერთმანეთის ღზინი თითქოს ეველა ამ ფრინველებს აღხენდეს და ახარებდესო.

— ნეტავი თქვენაო, — წამოიძახა ბიჭმა.

—ნეტავი მეც ჩიტად მხეციაო, — თქვა გოგონას.
 —ოჲ, ნეტამც არ იქნება, ჩიტი გამხადა, რომ ვველ-
 გან მატარებ და ძროსა მანოვნინაო! — ინატრებ ბიჭმაც.

თქმა იყო და ამ დაშმათა ოლოლად გადაქცევა. მას
 აქეთ ოლოლის სხსით გაფაციცებულები დაფრინავენ მინ-
 დორ-ტყეშია და გულსაკლავად განძანინან ერთმანეთს ისე-
 თის სმით, რა გეგონებთ იძანინაო:

—ვერ იზოვნე, ვერ იზოვნე?

—ვერბ, ვერბა!

—ოჲ.. ჭო.. ჭო.. ჭო.. ჭო.. ჭო..ო! რბ ცეცხლიაო!

ჩვენს დედინაცვალს თვალში ნაცარიო, გულში ღახ-
 ვარიო!

—ოჲ.. ჭო.. ჭო.. ჭო.. ჭო.. ჭო..ო! რბ ცეცხლიაო!

პ. უზიაშვილი



ოქროს-მატყლოვანი ვერძი და იაზონი

III

მას შემდეგ, რაც სიმპლეგადის კლდეებს გადაჩნენ, კიდეც კაი ხანს იარეს არგონავტებმა და ბოლოს მიუახლოვდნენ კავკასიას. გამოჩნდა უზარ-მაზარი მთები კავკასიისა, შემკული თოვლის გვირგვინით. მალე ფაზისის შესართავამდისაც მიატანეს და აჰყენენ თითონ ფაზისის წყალს. კოლხიდას გამგებელი ოეტეს ცხოვრობდა ქალაქს ეას *). ეას რო დაუახლოვდნენ, იაზონი და მასთან რამდენიმე სხვა გმირი წაყვიდნენ ოეტესის სასახლეში, სხვები კი ხომალდზე დარჩნენ. ოეტესმა მეგობრულად მიიღო უცხო სტუმრები და ჩინებულადაც გაუმასპინძლდა. მაგრამ, როდესაც შეიტყო, რა განზრახვით იყენენ მოსულნი, ძლიერ საწყენად დაურჩა მათი მოსვლა.

იაზონმა უთხრა, რომ ეს მარტო საკუთარი ჩემი და პელიასის სურვილი არ არისო; თვით ღმერთნიც იმ აზრისანი არიან, რომ ოქროს მატყლი ისევ საბერძნეთს დაუბრუნდესო. ოეტესს, რასაკვირველია, არ უნდოდა ხელიდგან გაეშვა ამისთანა ძვირფასი განძი. კოლხიდას როგორ დაუკარგავდა ამისთანა საუნჯეს! დარწმუნებულიც იყო, რომ ხელს ვერაფერ ახლებდა ოქროს მატყლს, რადგან მას სასტიკი მცველი უდგა. მისი ფიქრით, იაზონსაც ისეთი ბედი მოელოდა, როგორც სწვევია ბევრს სხვას, ვისაც კი მოუწოდომებია ამ მატყლის დასაკუთრება. ამ იმედით უთხრა ოეტესმა იაზონს:

—კარგი, ნება შენია, წაიღე ოქროს-მატყლოვან ცხვრის ტყავი, მხოლოდ ამ პირობით: მე აქ ერთი უღელი ხარი მყავს, ჯერ ის ხარები უნდა შეება გუთანში, მოჰხნა ექვსი დღიური მიწა და მერე იმ ხეულში, მე რომ გველაშაპის კბილებს მოგცემ, ის უნდა დასთესო. ამას კი გეტყვი, რომ ჯერ ამის მქნელი არავინ გამოჩენილა

*) ქალაქი ეა იყო სამეგრელოში, იმ ადგილას, რომელსაც ახლა ნაქალაქკეს ეძახიან.

ეროვნული
დაჯილდოების
სამსახური

და თავს უფროთხილდი. ახლა წადი, კარგად მოიფიქრე და ნახმა გაჰხდე, მოდი ხვალ და მაცნობე.

ოტესის ხარები საოცარნი იყვნენ: რქები და ჩლიქები სპილენთსა ჰქონდათ და პირიდგან ცეცხლს აფრქვევდნენ. ოტესს გარდა არავის შეეძლო მათი შეხმა უღელში, ისეთი საშინელნი იყვნენ. ვინც კი მიუახლოვდებოდა მათ, ძნელად თუ ცოცხალი გადურჩებოდა. სადაც გველაშაპის კბილები დაითესებოდა, იქ იმ დღესვე ამოვიდოდნენ რკინის გამირები, აღჭურვილნი შუბებითა და მახვილებით. გამირები მიჰვარდებოდნენ მხვნელს და მოჰკლავდნენ. ერთის სიტყვით, საშველი გზა არ იყო: ხარებს რომ ვინმე გადაჩინოდა, გამირებს მაინც ველარსად წაუყიდოდა. დიდი იმედი ჰქონდა ოტესს ჯერ ამ ხარებისა და შემდეგ გველაშაპისა, და ის კი აღარ უფიქრია, რომ მოლაღატე ვინმე გამოუჩნდებოდა.

მისდა საუბედუროდ, მისვე ოჯახში აღმოჩნდა მოლაღატე, რომელმაც გასცა იგი.

ოტესს ჰყავდა ერთი ლამაზი გასათხოვარი ქალი—სახელად მედეა, რომელსაც თურმე დიდი ნიჭი ჰქონდა წინასწარმცნობლობისა და გრძნების საქმეში, თვალთმაქცობაში, ძლიერ დახელოვნებული იყო: გარდააქცევდა ნათელს ბნელად, ასტეხდა სასტიკ ქარს და ისეთი წამლები შეზავებდაც იცოდა, რომლითაც ყოველს საშიშროებას ააცილებდა კაცს თავიდგან.

როდესაც მედეამ გაიცნო იაზონი, ძალიან მოეწონა იგი და გულში ჩაეჭრა, რომ უთუოდ მისი ცოლი გამხდარიყო. აი აქედგან იწყება ოტესის უბედურობა. მედეამ ანაცვალა თავის განზრახვას ყველაფერი, რაც მისთვის ძვირფასი უნდა ყოფილიყო: მშობლებიც, ნათესავებიც და კოლხიდის სიმდიდრეც; იგი შეიქმნა იაზონის მშველელი თავის გრძნებითა და თვალთმაქცობით და მოლაღატე თავისიანებისა.

იაზონი დაბრუნდა თავის ამხანაგებთან და უამბო ყოველივე, რაც ოტესმა უთხრა. ამხანაგებმა იმედი მისცეს და გამხმნვეს:

—ნუ გეშინიან, იაზონ, ღმერთი მოწყალეა! ვერას დაგაკლებენ ოტესის ხარები. შენი მძლავრი მკლავებით ადვილად დაიმორჩილებ გიყ, ნებიერ ხარებს და შევბამ უღელში.

იაზონი ჰხედავდა, რომ უკან დაწევა აღარ შეიძლებოდა ამ საქმეში. ტყუილად ხომ არ გამოუვლია შორი გზა და იმდენი გაჭირ-



ვება! სირცხვილით უკან დაბრუნებას სახელოვანი სიკვდილი არჩია, როგორც წესია კარგის ვაჟაკისა, და სთქვა:

—რაც იქნება, იქნეს! წავალ ხვალ ოეტესთან და ვეტყვი, რომ თანახმა ვარ, ავასრულო, რაც იმან მითხრა.

ამ ფიქრში იყო, როდესაც მოვიდა მასთან მედეა და უთხრა: „თუ მომცემ ფიცს, რომ არ მილაღატებ და წამიყვან საბერძნეთში, ისეთს წამალს მოგცემ, რომლის წყალობით გაიმარჯვებ და შენს წადილს აღსრულებაში მოიყვანო“.

იაზონმა შეჰფიცა. მაშინ მედეამ მისცა მას გოგრა, წამლით საესე, და უთხრა, სანამ ხარებთან მიხვიდოდე, ეს წამალი იცხე და მას უკან ნურათრის შეგეშინდებაო. ხარებსაც ეს წამალი აპკურე; მაშინ იმათ ცეცხლის ალი დაუშრტებათ პირში, და ცეცხლისაგან უვნებელი იქნებიო. რა დღესაც ამ წამალს იცხებ, იმ დღეს შენი მძლეველი არავინ იქნებაო. ეს მწვანე ქვის ბეჭედიც თან წაიღე: როდესაც მიწა მოჰხნა და რკინის დევები დახოცო, წადი იმ მუხის ძირას, რომელზედაც ჩამოკიდებულაია ოქროს-მატყლოვანი ტყავი, ბეჭედი გადაუგდე გველაშაპს. ბეჭედს ისეთი ძალა აქვს, რომ ვეშაპი ცეცხლს ვეღარ წარმოადენს პირიდგან. მაშინ ამოიღე მახვილი, შეები მახ და მოკალ. მერე დაუყოვნებლივ ჩამოხსენი ოქროს-მატყლოვანი ტყავი და გასწი.

* * *

დანიშნულს დღეს დილა აღრიანად მობძანდა ოეტეს თავის ქალით და მთელი თავის ამალით იმ ადგილს, სადაც უნდა მოეხნა იაზონს ექვსი დღიური. ხალხიც ბლომად მოგროვდა საკვირველი გამირობის საცქერლად. მოვიდა იაზონიც. მოსელა და ხარებისკენ გაქანება ერთი იყო. მივიდა და პირდაპირ რქებში წაავლო ხელი. ოეტეს და სხვანიც ყველანი გაკვირვებულნი იყვნენ, რომ ხარები ცეცხლს აღარ აფრქვევდნენ პირთავან.

ხარებმა დაიწყეს გიჟობა და წიხლების სროლა, მაგრამ იაზონმა მაგრად მოსკიდა ხელები და მიწაზე დაანარცხა ორივე. მერმე დაადგა უღელი, შეება გუთანში და დაუწყო მიწას ხენა. ჯერ კიდევ სადილობა არ იქნებოდა, რომ იაზონმა სულ მოხნა, რაც მოსახნავე იყო.

ოეტეს გაშტერებული შესცქეროდა, მაგრამ იმედს მაინც არ ჰკარგავდა. მივიდა იაზონ ოეტესთან, გამოართვა მას გველაშაპის

კბილები და დაიწყო თესვა. როდესაც სულ დათესა, რაც მოხდა, ლი ადგილი იყო, წავიდა თავის ბინაზე და შეისვენა.

სალამოს, ჯერ კიდევ მზე არ იყო ჩასული, რომ მოვიდა ყანის სწანხავად. ჰხედავს, რომ ვეებერთელა რკინის კაცები აღმოცენებულან! ზოგი მთლად არ არის ჯერ ამოსული, ფეხები კიდევ მიწაში უდგია და ზოგი მუხლებამდის არის მიწაში; სხვები კი ზოგი წელამდის არის ისევ მიწაში და ზოგი მხრებამდის. ამათ გარდა კიდევ ამოდიან სხვებიც, მაგრამ ჯერ კიდევ თავი არ ამოუყვიათ კარგად, მხოლოდ მათი ჩაჩქნები მოჩანს და აქა-იქ შუბებს ამოუყვიათ წვერი.

ამის მნახველი იაზონი სულაც არ შეშინებულა. იგი მოიქცა ისე, როგორც მედემ ასწავლა: აიღო დიდი ქვა და გადაუგდო რკინის კაცებს. ისინი დაეძგერნენ ქვას მოსატაცებლად და ასტეხეს ერთმანეთში საშინელი ომი; უწყალოდ სცემდნენ ერთმანეთს და ჰხოცავდნენ. რომელიც ჯერ კიდევ მთლად არ იყო მიწიდგან ამოსული, როგორც კი ამოვიდოდა და ფეხს დასდგამდა მიწაზე, მაშინვე გაიქცეოდა ქვის მოსატაცებლად და შეებმოდა სხვებს. ამასობაში იაზონი მიმოდიოდა ხნულში, მახვილი ხელთ ეპყრა და ჰკვეთდა თავს იმით, რომელნიც ახლად ამოდიოდნენ. ამ სახით იაზონმა დახოცა ყველა რკინის გმირები და თითონ კი გადარჩა.

მეორე დღეს იაზონ გამოცხადდა ოეტესთან და უთხრა, რომ ავასრულე, რაც საქმე მქონდა შენგან მონდობილი, და ახლა, როგორც პირობა გვაქვს, ოქროს-მატყელოვან ცხერის ტყავი უნდა ჩამაბარო.

ოეტესმა უპასუხა: ცოტა დამაცალე, მე რე მოდი და მოგცემო. უნდოდა ისეთი რამ მოეგონა, რომ თავიდგან მოეშორებია იაზონი და ოქროს მატყლი არ დაენებებია. იაზონი წავიდა თავის ბინაზე.

ზატარა მკალავი

ანტონა

ქვანები, ქვანები! ვისა ვაქვთ დასაკოწიწებელი ან მოსაკალავი ქვანები?—ვაიძახოდა ქუჩაში ზატარა მკალავი ანტონა.

ერთ ალაფათის კარებთან დაინახა მხარეული დედაკაცი და მივიდა იმასთან.

—დედი, ხომ არა ვაქვთ გასასწორებელი ან მოსაკალავი ქვანები? აქვე, თქვენ თვალ წინ ვაგაკეთებ.

—მოდი, შვილო, მოდი! სწილენძის ზატარა ქეთლი მუქს დაჟეჟილი, ბავშვებმა ვადაძიგდეს და დამიყევეს. ქვანებსაც ყურები აქვთ მოვარდნილი. სხვა კიდევ ბევრი რამ წვრილმანი მოიძებნება სამხარეულოში. უნდა კი კარგად ვამიკეთო!

—უთუოდ, დედი! თუ ავიღებ საქმეს, უნდა კიდევ კარგად ვაკეთებული ჩავაბაროთ, მე საქმეს არ ვაგეჟევი,—სთქვა თავმოწონებით თორმეტიწლის მკალავმა.

დედაკაცმა სამხარეულოდამ გამოუტანა ქეთლი, ქვანები, ქვანების სასურავები და სხვა წვრილმანი სწილენძეული, რაც კი რამ ვასაკეთებელი თუ მოსაკალავი ჰქონდა. მერე უხვენა ეზოში ადგილი, სადაც ზატარა მკალავს უნდა ემუშავნა.

ანტონამ დადგა მყვალნი, ჩაყარა შიგ ნახშირი, მოუკიდა ცეცხლი და ელოდა გახადებას, რომ ისე შესდგომოდა საქმეს. მაგრამ ქუჩაში მეტის-მეტი წანწალით ისე იყო დაქანცული, რომ ამ ლოდინში ტებილად ჩაეძინა.



ჰატარა მკაღავს ესისძრა, პამს წინად როგორ და
ჭეხანდა თავისი ანტონა მკაღავით სეღში, როგორ ასწავლი-
და შეიღს თავის სეღობას, რადგან კუტად ჩაუარდნილი



დღეს ბოლოს შვილის შესანახი უნდა გამხდარიყო. მართლაც, მამა უეცრად საოფლემ ვადიტანა. ავად-მყოფი დღეს შვილის შესანახი დარჩა. საბრძლო, გამოუცდელი ბავშვი საქმეს მწელად შოულობდა და როდესაც ანტონას ნამუშავარი ისე მცირე იყო, რომ ცარიელ ლუკმისთვისაც არა ჰყოფნიდათ, მამის ბავშვი მესობლებში მოითხოვდა ჰურის ნამტვრევებს და დედანთან კი ხელ-ცარიელი არ დაბრუნდებოდა. თითონ თუნდ ორი-სამი დღე მშვიდი ყოფილიყო, არას დასდევდა.

დღეს ანტონას ბედმა გაუდიმა: ამ დასაკაწიწებელ და მოსაკალავ ქვაბებში იმდენს აიღებს, რომ ორ-სამ დღეს დედანსაც და შვილსაც ეყოფათ. რა სტუნვით და სინარულით მივა დედანთან.... ანტონას ძილში გაეცინა.

სახლის შემოდ ოთახიდან ბავშვს თვალს ადევნებდნენ დედა და შვილი. ესენი ხედავდნენ, ბავშვს კინწი როგორ წასწვდა, როგორ ებრძოდა ძილს, — თან სთვლებდა საბრძლოს და თან ხელს მახალისკენ იშვერდა.

— რა დაღბალული ყოფილა ჰატარა ხელოსანი! საწვალბა ვეღარ შესძლო და ჩაემინა! იცი, შვილო, ამბობენ ეს უმაწვილი კუტ-დედასაც ინახავს და თავის თავსაც ირჩენსო!.. მერე, თურმე, რა გაჭირებით შოულობს სამუშაოს!..

ჰატარა ქალი ერთ წამს დაღობდა. მერე რაღაცა ფიქრმა გაურბინა თავში, საჩქაროდ ჩაირბინა ეხომი, ფეს-აკრებით მიეპარა ანტონას და დააჩირა, ჰატარა დაღლილ მუშაკისთვის ჩაედო ჯიბეში, ხილის სასეიდლად დედის მიცემული, წვრილი ფული.

სწორედ იმ დროს მივიდა ბავშვთან, როდესაც ანტონას

ძილში ჩაეცინა. ნატარა ქალი შეერთა, ეგონა, ვეღარ მალა
 ვასწარ, გაიღვიძაო. შიშით მუჭა გაეხსნა, წვრილი ფუ-
 ლი თავსეღ გადააყარა ანტონას და გაიქცა. სმაურობასეღ
 ანტონას შეეშინდა და გამოეღვიძა...

ერთი ხელით სწვდა ქვაბებს და მეორეთი აკრიფა
 ფული, თან აქეთ-იქით გაკვირვებით იცქირებოდა.

— ეგ ჩემი ქალის იღბალსეღ აიღე, შვილო, გადმოსძახა
 შემოდამ სასლის ნატარანმა და თითონ მიიძალა.

უსვად დაჯილდოებულმა ანტონამ უფრო ხალისიანად
 მიჰყო ხელი მუძობას.





უსამართლოთ მისამართი



ყო ერთი ხელოსანი. ჰყავდა ერთი ვაჟი-შვილი. მამამ შვილი სხვა ხელოსანს მიაბარა გასაწურთნად.

შვილმა გაათავა შეგირდობა და შინ დაბრუნდა. მამა და შვილი სხვა მხარეში წავიდნენ სამუშაოდ. კარგა გზა რომ გაიარეს, მამამ მოინდომა შვილის გამოცდა, უსწავლია რამეღო თუ არა, და უთხრა:

—დავიღალე; მოდი ჯერ შენ ამიკიდე და მერე მე აგიკიდებო.

—კარგიო, —უთხრა შვილმა, —და მოუყვა ზღაპარს. შვილმა რომ გაათავა, ახლა მამამ დაიწყო. ამასობაში ისე გაერთვნენ, რომ დაღლილობა სრულიად დაევიწყდათ.

გაიარეს კიდევ კარგა გზა, მამამ მისცა შვილს ექვსი შაური და უთხრა:

—წადი ამ ექვსი შაურისა ცხენები იყიდე, შეესხდეთ და წავიდეთო. შვილი წავიდა და ერთი ხელადა ღვინო იყიდა. დალიეს და ხალისიანად გაუდგნენ გზას.

გაიარეს კიდევ კარგა გზა. მამამ უთხრა შვილს:

—წადი, ერთი ამხანაგი შენთვის იშოვე და ერთიც ჩემთვისაო.

შვილი შევიდა ტყეში, მოსჭრა ორი ჯოხი, ერთი თავისთვის, ერთიც მამისთვის და გაუდგნენ გზას.

იარეს, იარეს და მივიდნენ ერთ ალაგას. ნახეს ერთი ყანა. ყანა რა ყანა, ღვთის თვალი შიგ ტრიალებდა.

მამამ სთქვა: —„იშ, რა კარგია, რა კარგიაო!“ — შვილი კი იძახდა: „რა მოკმულია, რა მოკმულიაო!“

— არა კარგიაო!

— არა მოკმულიაო!

ვერ მორიგდნენ. მამამ უთხრა, — წავიდეთ და მცოდნე კაცსა ვკითხოთო.

წავიდნენ გულთმეცნიერის საძებნელად. გზაზედ წყალში გასვლა მოუხდათ. წყალში მარილი იყო და არა დნებოდა.

— ეს რა მარილია, რომ ამ წყალში არა დნებაო? — ჰკითხა მამამ შვილსა.

— არ ვიციო, — უპასუხა შვილმა.

წავიდნენ ისევ გულთმეცნიერის საძებნელად. ერთი ქალისას ეტყვიან, ის გამოიღწობს ყველაფერსაო. იპოვნიან ქალს და ჩამოხდებიან იმის სახლში. ქალი ისეთი ლამაზია, რომ იმაზედ ლამაზი აღარ შეიძლება, მაგრამ ერთი თვალით კი ელამია.

მამამ პირდაპირ კი ვერ დასდო წუნი და მიიხედ-მოიხედა და სთქვა:

— სახლი კარგი ნაგებია, მხოლოდ ბანი კი მრუდე მოჰსვლია ოსტატსაო (ვითომ, ქალი ლამაზია, მაგრამ ელამი კი არისო).

— მრუდე იყოსო რა, — უპასუხა ქალმა, — ბოლი კი სწორედ აღისო და (ვითომ, რა ვუყო, რომ ელამი ვარო, სწორედ კი ვნებდავო და). მამას იამა ქალის ასეთი პასუხი და უთხრა:

— შენთან ერთი საჩივარი მაქვს და იმედი მაქვს, კარგად გამასამართლებო.

შვილი მივებარე ოსტატს. მეგონა, კარგად გამიწურთნიდა და არა უსწავლებია კი რა. გზად მოვიდოდით. ერთი ყანა ენახეთ ისეთი, რომ მტერსაც თვალი ზედ დაჰრჩებოდა. მე ვამბობდი: „რა კარგია, რა კარგიაო!“ ჩემი შვილი კი გაიძახოდა: „რა მოკმულია, რა მოკმულიაო!“

— შენი შვილი მართალიაო, — უპასუხა ქალმა: — ეგ ყანა კარგია, მაგრამ პატრონისთვის კი მოკმულია: — იმის პატრონს ვალი ჰპართებს, ყანას მოვალე წაიღებს და პატრონი კი ცარიელი დარჩებაო.

მოეწონათ ქალის სიბრძნე მამასაც და შვილსაც და ახლა კიდევ ჰკითხეს:

— გზად ერთი წყალი ენახეთ, შიგ მარილი იდო და არ დნებოდა. ნეტავი რა უნდა იყოს ან ის წყალი და ან ის მარილი?



— წყალი — ცოლია და მარილი — ქმარიო, — უხასუხა ქაღალდი. ავი ცოლი ისე აღნობს ქმარს, როგორც წყალი მარილსაო და კარგა ცოლი კი იმ წყალსა ჰგავს, მარილი რომ არ უდენიაო.

მამას ძალიან მოეწონა ქალი, გადაწყვიტა თავის შვილისთვის ცოლად შეერთო და იმ ღამესვე ჯვარი გადასწერეს.

ღრო რომ გავიდა, მამა და შვილი ისევ სამუშაოდ წავიდნენ. მივიდნენ ერთს ქალაქში და ხელმწიფის სახლი აიღეს ასაშენებლად. ხელმწიფემ ისეთი პირობა დაუდო, რომ, თუ მოეწონებოდა სახლი, მისცემდა სამუშაოს, თუ არა და მამა და შვილი ხელ-ცარიელნი უნდა წასულიყვნენ.

სახლი კარგი გააკეთეს, მაგრამ ხელმწიფემ მაინც წუნი დასდო იმათ ნაკეთებს და უბრძანა: დაამწყვდიეთო და თავები მოსჭერიეთო, რა არის აგები შევაშნო და ცარიელები მაინც მამშორდნენო. მამა მიუხვდა ხელმწიფეს ოსტატობას და უთხრა:

— შინ ერთი მანქანა მაქვს, და თუ მოატანინებ, სახლს ისე გავასწორებ, როგორც შენ გინდაო. მაგრამ შინ ისეთი რძალი მყავს, რომ, თუ შენი შვილი არ გავზანებ მოსატანად, სხვას არავის ანდობსო.

ხელმწიფემ გავზანა თავის შვილი, მხლებელნიც გაატანა, და ხელოსანმაც დააბარა: „ჩემს რძალს უთხარი, — „უსამართლოთ მისამართი“ გამოგზანე-თქო“.

მივიდა ხელმწიფის შვილი ხელოსნის რძალთან და უთხრა: — შენმა მამამთილმა გამოგზანა, — „უსამართლოთ მისამართი“ გამოგზანეო.

რძალმა სტაცა ხელი ხელმწიფის შვილს და დაამწყვდია. იმის მხლებლები კი უკან დააბრუნა და დააბარა:

— უთხარით ხელმწიფეს, — მანამ ჩემი მამამთილი და ჩემი ქმარი არ მოვლენ, შენ შვილს აქედამ აღარ გამოგუშვებო.

ხელმწიფე გაუსწორდა ხელოსნებს და გაისტუმრა შინისკენ.

თ რ ი მ ო ჩ ს უ ბ ა რ ი



რი კაცი გზად მიდიოდა და ლაპარაკი ჩამოუფარდათ, — ვის როგორი მამა ჰყვანდაო.



— მამიჩემისთანა ჰკვიანი, პატოსანი და ლეთისნიერი ყანაზედ ჯერ არ დაბადებულაო, — ამბობდა ერთი.

— შენც არ მომიკვდე, რომ მამიჩემის ბადალი, ყოველის სიკეთით შემკული ადამიანი არც სადმე იყოს, არც ოდესმე ყოფილიყოს, — სიტყვა მეორემ.

ამ გვარად ერთი თავის მამას ამჯობინებდა, მეორე თავისას. დიდ ხანს ბაასობდნენ ასე. ბაასს ჩხუბი მოჰყვა, ჩხუბს — ცემა-ტყევა. იმდენი სცემეს ერთმანეთს, მინამ გულს იჯერებდნენ. მოქანცულები, ცხვირ-პირ გასისხლიანებულები ბოლოს გაშორდნენ, შორი-ახლოს დასხდნენ და ახლა ერთმანეთს ლანძღავდნენ.

გამოიარა ამ დროს ერთმა კაცმა, დაინახა ეს უცნაური მოჩხუბრები და გაკვირებულმა ჰკითხა.

— რა დაგმართვიათ, რაზედ დაგიხოცნიათ ერთმანეთი, რა გაქვთ გასაყოფო?

— მამებზედ ჩამოგვივარდა ლაპარაკი, — მიუგო ერთმა მოჩხუბარმა: — ეს თავის მამას მამიჩემს ამჯობინებს; ამას როგორ მოვითმენდი, — გულს მოველ, შემოვკარ; ამანაც ხელი მიბრუნა და შეგვექნა ჩხუბი.

— სწორე მოგახსენოთ, საჩხუბარი არა გქონიათ რა: ვერაფერი მამები გყოლიათ ორთავეს, თუ მაგისთანა უხვირო და უზღელი შეიღება დაუზღიხართ; ცოტაზედ რომ ერთმანეთს თავ-პირს ამტერვით, ბევრზედ რაღას იზამთ; მამის სიკეთე ერთს მაინც დაეტყობოდა; მაშ გიჯობთ, ისევ სხვა რაზედმე იჩხუბოთო, — მიუგო გამვლელმა.

ან-მან



მოსწრებული სიტყვა

ხანში შესულს კაცს ჰკითხეს:

— რა მიზეზია, რომ თმა სულ მთლად გათეთრებული გაქვს და წვერი კი ჯერ ისევ შავია?

— მიზეზი ის არის, რომ წვერი ოცი წლით უნცროსია თმაზეო, — უპასუხა მოხუცმა.



ანდრეასი

1. გიცილობ რკინაო, მიძევხარ წინაო.
2. ბარაქალამ მაზარალა, ოლოლომ ვერა მიყო რა.
3. გიჟი ნურც მტრად გინდა, ნურც მეგობრადაო.

გამოცანები

ერთი რამ არის უსულო,
სიბრძნეს გამოცემს, მიკვირსა;
სახლი აქეს წლობით ნაშენი,
ხუროს გამოცელა უჭირსა;
ამისა გამამცნობელსა
სიბრძნის აღარა უჭირს რა.

ერთი რამ უცხო ფრინველი, სოსანზე უფრო სოსანი,
წავა ინდოეთს, წყალს დაღვეს, მოგვივა ისევ ცოცხალი.

თავსა და ბოლოს იქნედა და ტანსა უჩინბახოსა,
ყვითელი ვარდი დედამან შეილისთვის შეინახოსა;
ვაი თუ ფეხი წამოჰკრას, ვაგლახი დაიძახოსა.

მე და შენ, ამხანაგებმა, ერთად მოვიქაშქაშოთა,
თეთრი შუაზე გავიყოთ, ყვითელი შევინახოთა.

მაღლა ვზავარ ბაქანზედა,
წვერი მცეივა კალთაზედა.

ა რ ი თ მ ე ტ ი კ უ ლ ი გ ა მ ო ც ა ნ ა

ათ თუნგიანი ქურქელი ღვინით საეცე გვაქვს. როგორ მოახერხებთ, რომ ეს ღვინო თანასწორად გაჰყოს შუაზე, თუ გასაყოფად მხოლოდ შვიდ-თუნგიანი და სამ-თუნგიანი ქურქელი გვაქვს?

დაწყეთ 24 წუმწუმა, ან ჩხირი, ცხრა უჯრად, როგორც სურათზეა ნაჩვენები, შემდეგ მოაშორეთ 8 წუმწუმა ისე, რომ მხოლოდ ორი მთელი უჯრა დარჩეს.

ე პ ი ტ ე ზ ი ს ი *)

— კ — ც — ბ — ქ — ბ — დ — ღ — მ — რ — თ — ც — ნ — დ —

ა ნ ა გ რ ა მ ა **)

ხუთი ასოსაგან შევდგები, ბოსტანში მოვდივარ და მწარე გემო მაქვს; გადასხით ჩემი ასოები და მდინარე გავხდები.

ს ა ხ უ მ ა რ ო გ ა მ ო ც ა ნ ა

1) ის რა არის, რაზედაც ყოველად შეუძლებელია, რომ ადამიანი დაეცეს?

2) რუმბი სრულებით მთელია და შიგ კი არა ჩაისხმის რა, — როგორი რუმბი ყოფილა?

*) ეპიტეზისი ბერძნული სიტყვაა და ჰნიშნავს. რომ სიტყვაში უნდა გამოვყოფილი ასოები ჩაისხას.

***) ანაგრამა ბერძნული სიტყვაა და ჰნიშნავს: ერთი სიტყვის ასოები ისე უნდა გადისხნ-გადმოისხნას, რომ იმავე ასოებიდან გამოვიდეს ახალი, სხვა აზრის სიტყვა.



შ ა ი რ ე ბ ი

(შეკრებილი შორაპნის მაზრაში თ. ხუსკივაძისაგან)

კარგია კარგი ყოფნაო,
კარგი ხარი და ძროხაო.
მოყვარეში არ ვარგია
დაძველებული ჩოხაო.

წისქვილის ამბავს თუ მკითხავთ,
მე მოგახსენებთ, რა უნდა:
სათავე ამალლებული
და ღარსაც დიდი თლა უნდა,
მას მოწყობილი ბორბალი,
ორმოც-და-ხუთი ფრთა უნდა,
გადაჯარჯული ხეიმერა,
საკიწიალოდ ქვა უნდა.

შ ა რ ა დ ა

ხმოვან ასოთი იწყება სიტყვა არც მოკლე, არც გძელი,
შუას შეადგენს უარი, ბოლოს ყვაეილის სახელი;
თუ გიძნელდებათ გაგება, მაშ კიდევ გეტყეით, რომ მთელი
დედის ძუძუზე ტკბილია მისთვის, ვინც არის ქართველი.

დ.

რ ე ბ უ ს ი



ქენი

ტ



საჭ






№ III-ის გამოცანების ახსნა

1) იოანე ნათლის-მცემელი, 2) ყანა. 3) მხე და მთვარე. 4) ყურღღელი. 5) ღორი. სამათემატიკო გამოცანა: 1) 3 შტო და 4 ჩიტი ყოფილა. 2) საყდარში შესვლისას კაცს ჰქონია $17\frac{1}{2}$ კ. შარადა: კილობანი. რეზუსი: ღომი უთავეზოთ უგემურია.

გამოცანები ახსნეს: წინამძღვარიანთ კარის სამეურნეო სკოლის მოწაფეებმა: სე. ხუნდაძემ, ნეს. კალანდაძემ, იორამ თარხნიშვილმა. სამათემატიკო გამოცანა ახსნეს: სე. ხუნდაძემ და იოსებ მინდოდაურმა. რეზუსი და შარადა ახსნეს: ტფილისში—სასულიერო სასწავლებლის მოწაფეებმა ლავ. ასათიანმა და ფორაქაშვილმა, ქ. გორში—შან მოსწაფელემ დუშკო ნატროეცმა და ხონში—სონა ქუთათელაძემ.





1890 წ. იანვრის თვიდან

ქ. ტფილისში

გამოიცემა, ორ თვეში ერთხელ, საყმაწვილო სურათებიანი

ქ უ რ ნ ა ლ ი

ჭ ე ჯ ი ლ ი

წელიწადში გამოვა სულ 6 წიგნი, და თითო წიგნში იქნება ოთხიდან-ხუთამდე ნაბეჭდი თაბახი, ანუ 64—80-დე გვერდი დიდის ფორმატისა.

„ჭეჯილში“ დაიბეჭდება: მოთხრობანი, ლექსები, ზღაპრები, მოგზაურობის და შესანიშნავ-კაცთა ცხოვრების აღწერა, პოემები, მოკლე ამბები, სამეცნიერო წერილები, საბავშვო სათამაშოანი და სავარჯიშოანი, სამათემატიკო ამოცანები, იგავეები, ანდაზები, გამოცანები, ნარევი, რებუსები და სიმღერები ნოტებით.

ჟურნალში მონაწილეობის მიღება აღგვითქვეს ყველა ჩვენმა საუკეთესო მწერლებმა.

ჟურნალი „ჭეჯილი“ ტფილისში დატარებით ეღირება—3 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 4 მან.

ცალკე ნომრის ფასი ტფილისში იქნება 70 კაპ., ხოლო სხვა ქალაქებში—ქუთაისს, ბათუმს და გორში,—ეღირება 75 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით. ხელის მოწერა მიიღება:

1) ტფილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Зем. Банка, № 102) და თვით „ჭეჯილის“ რედაქციაში (Барятинская ул., д. № 8).

2) ქუთაისში—მკ. ნიკოლაძისას.

3) გორში—მკ. შურცელაძისას.

ზოსტის ადრესი: *Въ Тифлисѣ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*

რედაქტორი-გამომცემელი ან. თუმანიშვილისა

გამოვიდა და ისყიდება



„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის ძალაშია

„ისტორიული ნარკვევი“

ანუ

ქრისტოძეობის საქართველოს ისტორიისათვის

შედგენ. ალ. ჟუნიას-მიერ.

ქალაქის გარეთ ისყიდება: გორში—ირაკლი რამიშვილთან, საშურში—თავ. ანნაბაძესთან, ქუთაისში—წიგნის ძალაშია და კლდეებისა და წერეთლებისა და ბათუმში—მათე ნიკოლაძესთან.

ПОСТУПИЛА ВЪ ПРОДАЖУ

ВЪ КНИЖН. МАГАЗ. „ЦЕНТРАЛЬНЫЙ“, ХИДДЕКЕЛЯ

И ДРУГИХЪ

НОВАЯ КНИГА

„ТИФЛИСЪ И ЕГО ОКРЕСТНОСТИ“

(Приложеніе къ справочн. книгѣ старожила „Кавказъ“)

Ц. съ картой окрестн.—30 к., съ приложеніемъ-же, кромѣ того, плана города—40 к.

Тамъ-же продаются: полный экземпляръ справочн. книги „Кавказъ“, ц. 1 р. 20 к.; съ картой и въ папкѣ—1 р. 50 к.; 1-ая часть второго изданія той-же книги (Общій очеркъ. Населенные пункты, дороги), съ картой—ц. 60 к., безъ карты—35 к.; остальные выпуски—15—25 к.; „Словарь кавказскихъ дѣятелей“—25 к.

